პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 კვირა 11 ივლისი № 161 (16591) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის მშრომელთა სამახსოვრო

აუცილებელია მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვნად გადიდება, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

მოსავალს დროზე აიღებ — მოიგებ, დაკარგვიანებ — წაკარგებ!

პირველი განალმწი მარცვალი — სახელმწიფოს

კომბაინერთა შეჯიბრება

თელავი

ნიკოლოზ ჩოდრაშვილმა სოფელ კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეულის მოსავალი აიღო 9 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 24,8 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ახმეტა

ამირან რამაზაშვილმა ზემოხოდაშნის საბჭოთა მეურნეობაში პურეული მომკა 12 ჰექტარზე და ამით დღიურ ნორმას 4 ჰექტარით გადაჭარბა, ჰექტარზე საშუალოდ 24,2 ცენტნერი მარცვალი გალეწა 23 ცენტნერის ნაცვლად.

გარდაბანი

ვლადიმერ რომანენკომ ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს პურეული 8 ჰექტარის ნაცვლად 12 ჰექტარზე მოკა და ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

არჩილ ჩოხელმა თელეთის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

სიღნაღი

ივანე მეპურეტლიშვილმა ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე, გგმა კი 8 ჰექტარს ითვალისწინებდა, და ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერის ნაცვლად 27 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დავით ბეგიაშვილმა სოფელ ძველი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს ქერი 10 ჰექტარზე მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა 20 ცენტნერის ნაცვლად.

ყვარელი

გივრიონ წაბაშვილმა სოფელ გაგაზის კოლმეურნეობაში ნახევარ დღეში პურეულის მოსავალი აიღო 6 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე 21,6 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ბუღდან მირონაშვილმა სოფელ შილდის კოლმეურნეობაში ქერის მკის დღიური ნორმა გადაჭარბებით შეასრულა და ჰექტარზე საშუალოდ 24,3 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

საგარეჯო

ვალერიან ალექსაშვილმა საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში 6 საათში დღეში ქერის მოსავალი აიღო 75 ჰექტარზე 60 ჰექტარის ნაცვლად და 120 ცენტნერი მარცვალი გალეწა.



ტემპი, ტემპი კომბაინერებო!

შირაქის მინდვრებში

წითელწყაროს. ((ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ. ვლ. მჭედლიშვილი). რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში 160 კომბაინი მუშაობს პურეულის მოსავლის აღებაზე. 6.115 ჰექტარი ეთესა ქერი. ყანები ავდრების გამო ჩაწვა. კომბაინერებმა ოსტატობით, მუყაითი შრომით გაიმარჯვეს, უდანაკარგოდ აიღეს ქერის მოსავალი და რამდენიმე დღეა ხორბლის ოქროსფერ ყანებს მკიან. გუშინდლამდე წითელწყაროელებმა თავთავიანები 7.800 ჰექტარი აიღეს. ნაცვლად 23,4 ცენტნერისა ჰექტარზე მიღებული 35 ცენტნერი მოსავალი.

შირაქსა და ივრისპირეთში პურეული ჯერ კიდევ 16.600 ჰექტარია ასაღები. ახლა, სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს თუ ვინ როგორ მართავს კომბაინს. მთავარი კი ის არის, რომ დროულად, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი. დღეში 1.500-2.000 ჰექტარ პურეულს მკიან. მკის ტემპი დღითიდღე ძლიერდება და ვარაუდობენ, რომ მოსავლის აღება 25 ივლისს დამთავრონ.

პურეულის მკასთან ერთად ნაწვერალს ხნავენ და სიმინდსა და ლობიოს თესავენ. წლეულს სანაწვერალო კულტურები 11.600 ჰექტარი დაითესება, აქედან სამარცვლე სიმინდი 2.500 ჰექტარი, ხოლო ლობიო 500 ჰექტარი.

რაიონის საკვებმომპოვებლები ენერგიულად შრომობენ პირუტყვის საკვების დასაგროვებლად. სენაჟი, ნაცვლად 25.000 ტონისა, დამზადებულია 31.800 ტონა, თივა — ნაცვლად 5.200 ტონისა — 4.000 ტონა, ჩადებულია 15.600 ტონა სილოსი.

პურეულის მკასა და პირუტყვის საკვების დამზადებაში წინმიდიან ზემომჩიჩაანის, ზემოქედისა და ქვემოქედის **კოლმეურნეობები.**

მკიან კოდელები

წითრიწყაროს რაიონის კოდის ხარძევე საბჭოთა მეურნეობაში 1.850 ჰექტარი თავთავიან კულტურებს უპირავს. გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად კომბაინერები ყოველი ჰექტარიდან 28-30 ცენტნერ ქერს ლეწავენ. ხორბლის კი, რომლის აღებას მიწათმოქმედები ახლა იწყებენ, ჰექტარიდან დაახლოებით 35 ცენტნერ მოსავალს მოელიან, რაც გეგმასთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტია.

მკის დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის მექანიზატორებს ზორის ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. სახელმწიფოს ბეღელში შეინახავენ დიდი რაოდენობით ზეგეგმით მარცვალს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ ზემოთ — მოწინავე მექანიზატორი აკაკი კენკებაშვილი; ქვემოთ — კოდის ხარძევე საბჭოთა მეურნეობაში ჩაიან თავთავიან კულტურებს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იხაროს მისმა მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ბ. ლომაძის პლაკატი.

მკიან პურეულს, ამგადებენ საკვებს

ხიდნალი. (საკ. კორ.). ივრისპირეთსა და შირაქში ნამდვილი მკის ამინდია. რაიონის კომბაინერები დღითიდღე უმატებენ მკის ტემპს. თავთავიანები 20.327 ჰექტარიდან უკვე მომკილია 7.512 ჰექტარი. აქედან 3.300 ჰექტარი პურის ყანებია, დანარჩენი კი — ქერისა. სამუალოდ ჰექტარზე მიღებული 21,4 ცენტნერი ქერი და 27,1 ცენტნერი პური.

ყოველდღიურად 110 კომბაინი მუშაობს პურეულის მკაზე. მკაში დაწინაურდნენ ბოდბისხევის, ბოდბის კალინინის სახელობისა და მაღაროს კოლმეურნეობები.

სენაჟი, ნაცვლად 25.000 ტონისა დამზადებულია 28.000 ტონა, თივა ნაცვლად 10.000 ტონისა—3.900 ტონა, ნამჯა ნაცვლად 25.000 ტონისა — 4.000 ტონა, სილოსი ნაცვლად 50.000 ტონისა — 3.200 ტონა.

გორში დაიწყო ალოოგა

გორი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონში პირველმა ბერბუკის საბჭოთა მეურნეობამ დაიწყო ქერის მოსავლის აღება. გუშინ ფირუზა მაყიმშვილმა ქერი მომკა 10 ჰექტარზე, ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა და ამით მოსავლიანობის გეგმას 5 ცენტნერით გადაჭარბა.

კარალეთის საბჭოთა მეურნეობაში შრომა დაუფასდათ. ქერისა და ხორბლის თავთავები დამძიმებულია. უკვე დაიწყო ქერის მოსავლის აღება. გუშინ კომბაინერმა მ. ბაზანდარაშვილმა ქერის მოსავალი 10 ჰექტარზე აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა. ქერის მოსავლის აღება დაიწყო ქვახვრელის კოლმეურნეობაში.

ფეჯიბრების სათავეში

ეფექტიანობა საერთო საზრუნავია

ბაქრს მშრალი ტრანსფორმატორების ქარხანაში შეიქმნა მოწინავე გამოცდილების რადიოსკოლა. პირველი მეცადინეობის ჩატარების უფლება შემთხვევით როდი მიენიჭა საუკეთესო ამწყობ ზეინკალს კომუნისტ ა. ალიევს. საწარმოში გაშლილი მოძრაობის „ხუთ წელიწადში — ორი ხუთწლედი!“ ინიციატორმა ა. ალიევამ თავის ამხანაგებთან ნ. სკოროდუმოვასთან, ა. რაგიმოვთან და ა. უშაკოვთან ერთად წამოაყენა წინადადება, რომ დადონ გამჭოლი ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრებისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ტრანსფორმატორების აწყობა იმ საწარმოო ციკლის საბოლოო უბანია, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მუშაობდა კოლექტივის ყოველი წევრი. ა. ალიევამ არაერთხელ შეამჩნია მომიჯნავისაგან გამოგზავნილი ზოგიერთი დეტალის უხარისხობა. გამჭოლი ხელშეკრულება კოლექტივს დაეხმარა დეფექტების გამოვლენასა და თავიდან აცილებაში.

ახლა საწარმოში წუნს გზა დაუხშეს. კომუნისტებმა თავიანთი კონტროლი დაუწესეს ხარისხის მართვის სისტემას. ახლა ყველა საწარმოო უბანზე პროდუქციას აბარებენ პირველი წარდგენისთანავე. შედეგიც სახეზეა: ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა უნივერსალურ მშრალ ძალურ ტრანსფორმატორს, რომლის მომზადება საატესტაციოდ საწარმოს კოლექტივმა წლის ბოლოსათვის გადაწყვიტა. ახლა საატესტაციოდ ამზადებენ კიდევ სამი სახის პროდუქციას.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწონა გამოცდილება ბაკის მშრალი ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივს, რომელიც ჩაბმულია შეჯიბრებაში დვიზიონ „თვითეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის მაღალი ეფექტიანობისაკენ“.

(საკ.ლის კორ.).

მეძღვნება კოსმოსურ გაფრენას

კალუგა, 8 ივლისი. (საკ.ლის კორ.). დღეს კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა ექსპრესგამოფენა, რომელიც ახალ კოსმოსურ ექსპერიმენტს ეძღვნება. აქ წარმოდგენილი ფოტოსურათები და სხვა მასალები ამუქებენ „სოიუზ-21“-„სალუტ-5“ სამეცნიერო კომპლექსის ეკიპაჟის მუშაობას. სურათებზე ზღვეფილი არიან კოსმონავტები ბ. ვ. ვოლინოვი და ვ. მ. ჟოლობოვი ფრენისწინა ვარჯიშის, კრემლში ვ. ი. ლენინის კაბინეტისა და ბინის დათვალიერების დროს. მუზეუმის დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სურათებმა, რომლებზეც აღბეჭდილია ბ. ვ. ვოლინოვი კალუგაში, სადაც მას ქალაქის სპპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ახალი ამგები

□ **ტერნოპოლი.** **წლის პირველი ნახევრის ანგარიშში სასოფლო-სამეურნეო მანქანების უკანასკნელი პარტია გაუგზავნა დღეს ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედებს** კომბაინის ქარხანამ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეგზავნათ 940 ჭარხლის ასაღები „თვითმავალი“ კა-6 და 1.670 ფოჩასაღები მანქანა. სოფლისათვის განკუთვნილი ტექნიკის რეალიზაციით ბარშინდელ დონეს მნიშვნელოვნად გადაჭარბეს. **სამი წლის წინათ აქ დაიწყო მაღალმწარმოებლური ძირხვნეულის ასაღები მანქანების სერიული გამომვება. მას შემდეგ კოლექტივი დღენაადგ ადიდებს სიმძლავრეს. გადაწყვეტილია მეათე ხუთწლედში გავიდნენ წელიწადში ოთხი ათასი კომბაინის მიჯნაზე.**

□ **ლენინაკანი.** **(სომხეთის სსრ). მანქანათმშენებლობაში, მშენებლობაში, სელსმოლოგიაში ფართოდ გამოიყენებენ ატტ-1-მ უნივერსალური აპარატებს.** აპარატების პირველი სამრეწველო პარტია დღეს გამოუშვა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემის გეოფიზიკისა და საინჟინრო სეისმოლოგიის ინსტიტუტის საცდელმა საწარმომ. ამ ხელსაწყოების საშუალებით შეიძლება ზუსტი მონაცემების მიღება დედამიწის ფენების უმცირესი რხევების, მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარეში შეუფარაღებელი თვალით უხილავი გადახრების შესახებ. ლენინაკანელი ხელსაწყოთმშენებლები თავიანთ ხელსაწყოებს ასზე მეტი მისამართით გზავნიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. (საკ.ლი).

„10 ივლისი“ „პრავდის“ ფურცლებზე

PRAVDA უნდა ვხელაკვდეთ მომავლის ტექნიკას

განუხრელად იზრდება საბჭოთის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი და ეს მნიშვნელოვანწილად ჩვენი მეცნიერების შემოქმედებითი მუშაობის შედეგია, მეცნიერებისა, რომლებსაც თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ პარტიის საქმის, ხალხის საქმის თავდადებული სამსახური. ზრუნვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, აღნიშნა სკკპ XXV ყრილობამ, — პარტიის ეკონომიური სტრატეგიის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, მისი ხანგრძლივი მიზნების მიღწევის საიმედო ინსტრუმენტია.

ჩვენი პარტია, — ნათქვამია მოწინავეში — **მეცნიერების მოღვაწეთაგან მოელის ახალი პროცესებისა და მოვლენების სულ უფრო ღრმა და გაბედული კვლევას, წამოჭრილ პრობლემათა საფუძვლიან ანალიზს, საპასუხისმგებლო რეკომენდაციებს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის მათი გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებათა შესახებ.**

ზრუნვა იმისათვის, **რომ ახალი იდეები** რაც შეიძლება მალე გადაიზარდნენ მთელ ჯაჭვს გამოგონებიდან მასობრივ წარმოებამდე, **უადრესად პარტიული,** საყოველთაო სახალხო საქმეა, მუშაობა მომავლის მანქანების შექმნისათვის ნიშნავს საშობლოს ხვალინდელი დღის მოახლოებას.

საქართველოს ველ-მინდვრებში — წერს გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი **გ. ლებანიძე,** — **დღედაღამ არ წყდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების გუგუნი: მკა. რესპუბლიკის 29 პურეულის რაიონის მხვნელ-მთესველთა მარცვლეული უნდა აიღონ 220 ათას ჰექტარზე. მოსავალს კარგი პირი უჩანს.** ეს კორესპონდენცია („მკაც, თესვაც“) დაბეჭდილია გაზეთის პირველ გვერდზე რუბრიკით: — „**მოსავლის ესტაფეტა**“. წერილში კერძოდ საუბარია **წითელწყაროელთა საქმეებზე.**

როგორც მკითხველებმა იცით, 7-9 ივლისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXX სესია. გაზეთი აქვეყნებს ამ სესიის კომუნიკეს.

საბჭოთა ლიტერატურა ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა, რომ საზღვარგარეთ მის ირგვლივ უკვე ერთი დავიდარაბა ატყდა. **უცნობი ესთეტიკური მატერიკის** გამოჩენას სხვადასხვანაირად შეხვდნენ. ზოგმა დაუფარავი სიხარულით და იმედით მიიღო საბჭოთა მწერლობა, დაინახა, რომ იგი აღორძინებდა და მძლავრად ანვითარებდა იმ დიდ ჰუმანისტურ ფასეულობას, კატასტროფულად რომ კარგავდა თავის სახეს და ირღვეოდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ზოგმაც სასტიკი ომი გამოუცხადა მას.

ვიცავდეთ სოციალისტური იდეოლოგიისა და კულტურის ხიწმინდეს. ვამტკიცებდეთ მითებსა და მონაჩმახს საბჭოთა ცხოვრებაზე, ჩვენს კულტურასა და ლიტერატურაზე, ეს მუდამ იყო და კვლავაც რჩება უაღრესად აქტუალურ ამოცანად, წერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. ლომაძე.** გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულია მისი წერილი — „**სოციალისტური ბრძოლა და ლიტერატურა, ამერიკელი სოციალისტოლოგიის კრიტიკული ანალიზი**“.

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა, ნ. პოდგორნიმ, ა. კოსიგინმა მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 55-ე წლისთავის გამო მისალოცი დეპეშა გუგზავნეს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჟ. ბატმუნხს.

დეპეშაში ნათქვამია:

დღევანდელი მონგოლეთი დინამიკურად განვითარებადი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელსაც აქვს მრავალდარგიანი ეკონომიკა და მოწინავე კულტურა. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ამას წინათ გამართულმა XVII ყრილობამ ქვეყანას სოციალ-ეკონომიური და კულტურული პროგრესის უფრო დიდი და რთული ამოცანები დაუსახა. მონგოლ ხალხს, რომელიც გულდაჯერებით ზრდის რესპუბლიკის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, ამრავლებს და ამდიდრებს მის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალი ცხოვრების მშენებელთა კოლექტიური გამოცდილების ინტერნაციონალურ საგანძურში.

განუწყვეტლივ მტკიცდება საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ყოველმხრივი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ნამდვილი თანასწორუფლებიანობის, უანგარო ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ლენინური პრინციპები, ნათქვამია შემდეგ დეპეშაში. ამ ურთიერთობის საამედო ბაზაა სსრ კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების შემდგომ დაახლოებას.

საბჭოთა კავშირისა, ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებენ მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა და მონგოლი ხალხების საკეთილდღეოდ. (საკ.ლი).

საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება

9 ივლისს კრემლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობისა და კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი.

ეთიოპიის მხრივ — სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე მოგეს ვოლდე ჰიმაელი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე ალემაიეხუ ჰაილე, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი ფიქრესელასე ვეგდეერესი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი თამრათ ფერედე.

მოლაპარაკების მსელელობაში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულ საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. აღინიშნა, რომ დღეისათვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები მრავალმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საქმეში ახალი წინსვლის მისაღწევად, რაც საბჭოთა და ეთიოპიის ხალხების ინტერესებს ემსახურება.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც შეეხება მდგომარეობას აფრიკის ცალკეულ რაიონებში.

იმავე დღეს ეთიოპიის სახელმწიფო დელეგაცია ლენინგრადში ჩავიდა.

ეთიოპიის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ნ. შიბალოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკ.ლი).

საკდმესის ცნობა

„სალუტ-5“ სადგურის ფრენა გრძელდება

ზრენის მართვის ცენტრი. 10 ივლისი. (საკ.ლი). მოხკოვის დროით 11 საათისათვის „სალუტ-5“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა 284-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 41-ჯერ — ეკიპაჟითურთ.

დღეს, ღამის რვასაათიანი დასვენების შემდეგ, კოსმონავტებმა ბ. ვ. ვოლინოვმა და ვ. მ. ჟოლობოვმა განაგრძეს სადგურის განკონსერვაციის, საბორტო სისტემებისა და სამეცნიერო აპარატურის შემოწმების ოპერაციები. განხორციელდა აგრეთვე ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება.

„სალუტ-5“ სადგურში დადგმულია ხელსაწყო, რომელიც ზომავს კოსმონავტთა მახას უწონობაში. ამ ხელსაწყოს საშუალებით კოსმონავტები კონტროლს გაუწევენ თავიანთ წონას ფრენის დროს. სამუშაო დღის განმავლობაში ამ ხელსაწყოს გაზომვებისათვის ამზადებდნენ.

ორბიტული სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ. ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

მიფრინავს „კოსმოს-839“

1976 წლის 9 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი **კოსმოს-839“.**

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ.ლი).

მეცნიერთა შეხვედრა

ნოვოსიბირსკი. 10 ივლისი. (საკ.ლი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცმბირის განყოფილების აკადემიურ ქალაქში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სიმპოზიუმი ინფორმაციის ოპტიკური დამუშავების საკითხებზე.

სიმპოზიუმში, რომელიც ხუთ დღეს იმუშავებს, მონაწილეობენ ორი ქვეყნის წამყვანი მეცნიერები. ამერიკელთა დელეგაციას მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრეზიდენტი დოქტორი ჯონ თომასი.

□

დიპლომატიური ურთიერთობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავრობა და სეიშელის კუნძულების რესპუბლიკის თავრობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მისწრაფებით, რომ განავითარონ მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, შეთანხმდნენ 1976 წლის 30 ივნისიდან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარონ ორ ქვეყანას შორის და გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე.



ჩაუმქრალი კოცონი

მე შეგნებულად ამ წერილს სათაურად „ჩაუმქრალი კოცონი“ ვუწოდე, რადგან ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი მწყემსის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის გივი სეთურიძის სახელი ნამდვილად ჰგავს აბრიალებულ კოცონს. თმაში დანთებული ეს კოცონი შორს ანათებს. გივი სეთურიძის მთელი ცხოვრება, მისი ხიფათიანი, დაუღალავი შრომა, ნამდვილად გულითადი მადლობაა იმ ჭეშმარიტად დიდი ადამიანური ბედნიერებისა და სიკეთისათვის, რაც ჩვენს ხალხს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ მოუტანა.

ეს სიტყვები განსაკუთრებით მიესადაგება დღევანდელ დღეს, როცა საქართველოს მშრომელები სულითა და გულით მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. ეს ვახლავთ ქართველი ხალხის, საქართველოს მთისა და ბარის შრომის დიდი აღიარება. ამ შრომაში ისე, როგორც დიდ მდინარეში პატარა ნაკადულების კვალი, არის მოხვეული მეცხვარის გივი სეთურიძის მკლავმოუღლელი ალალი შრომა.

გივი სეთურიძეს ორი დღის წინით თერგის ნაპირას, მის სამშობლო სოფელ სიონში შეეხვედი. წინასწარ იცოდა, რომ იქ უნდა მივსულიყავი, თორემ მისი ნახვა ნამდვილად გამიჭირდებოდა. სიონის კოლმეურნეობის ცხვარი, რომლის ერთ ბრიგადას გივი მეთაურობს, ახლა მთებში ბალახობს. ნოლაეთიდან რომ დაბრუნდნენ ნაზამთრალმა მწყემსებმა ხანმოკლე დასვენების შემდეგ, მაღალ იალაღებზე დაიდეს ბინა. იქ მისვლა კი არ არის ადვილი. ის კი არა, სოფელ ჯუთაში გვინდოდა სტუმრობა, მაგრამ, თუმცა ჩვენს პატარა „ექსპედიციას“ თვით პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ელეზერ ჯაფასიძე ხელმძღვანელობდა, სნოსწყალი მაინც ვერ გადავლახეთ, ხშირმა და გაუთავებელმა წვიმებმა გააგიჟა მთის მდინარეები და მეცხვარეებს ახალი დაბრკოლებები შეუქმნა. დიახ, ბევრ დარსა და უავდრობას უძლებს მწყემსური ნაადები, მაგრამ რას იზამ, საქმეს არ ეალატება.

გივი წინადღეს ჩამოსულიყო მთიდან, ხუთი შვილის მამის შინ ყოფნას ალბა რა სჯობს, მაგრამ მას ამისათვის როდი ეცალა.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ტარასი ბაზალმა სასაუბროდ თავის კაბინეტში მიგვიწვია. გივი მორცხვობდა, მაგრამ ისე კი არა, თავისი თავგადასავლის დინჯად და ლალგებით მოყოლა რომ არ შესძლებოდა. მემკვიდრეობით როგორც მთაში მცხოვრებთა უმრავლესობა, მეცხვარეა, ეს ცხვრეები იყვნენ მისი პაპა და მამიბიძა. თხუთმეტი წლისამ მამასთან ერთად დაიწყო ცხვარში სიარული, ოცი წლისა უკვე საყიზლარად გაიმზადა და მას შემდეგ მთელი ოცდაშვიდი წელი კომბალი ხელიდან არ გაუგდია. იყო რიგითი მწყემსი, ყოველგვარ დავალებას ასრულებდა პატიოსნად. მალე გაათქვა სახელი ვაქაცობით, ცხვრის ერთგულებით. ზაფხულს მთებში ატარებს, ზამთარს — შორეული ნოლაის ტრამალებში, ზეპირად იცის მეცხვარეული მეცნიერების ის ანა და ბანი, დიდის რძესთან ერთად შესისხლხორცებული აქვს მთელი ქაცის ტრადიციები, რომელიც გულისხმობს საერთო-სამამ საქმის ერთგულებას, რომლის მიხედვით ცხვარს არ ეალატება, სხვისი სერის ცხვარი რომ ეპოვოს, თუ ოთელი წლებიც რომ გავიდეს, თუ პატრონი გამოჩნდა, უკან დაუბრუნებს, ცხვარში წარმოუდგენელია ქურდობა, ამხანაგის ღალატი.

მთაში იტყვიან, ადამიანი სალეს ქვასა ჰგავს, სტვენს ლესავს, ფხას აძლევს, თითონ კი თანდათან დნებაო. არა, ამის მსგავსი ვერაფერი შევატყეთ გივის; ყინჩად, ვაქაცურად გამოიყურება. აგერ თერთმეტი წელიწადია ბრიგადას ხელმძღვანელობს, სხვებს ფხას აძლევს. მაგრამ არაფერი მოჰკლებია. ბრიგადას ოთხი ფარა აბარია, პირადი ცხვარი ცალკე ჰყავთ გამოყოფილი, ამაში ისიც უწყობს ხელს, რომ პირადი ცხვარი თუშურია, საზოგადოებრივი კი — ნახევრად ნაზი.

ბრიგადაში სულ რჩეული ვაქაცები არიან. გივომ სიყვარულით ჩამომითვალა მათი სახელები: აი, ისინიც: გერმან ჩქარიული, გიორგი სისაური, მალხაზ ღუდუშაური, არსენ და გიორგ სეთურიძეები. ვარდო სისაური, ალია დვითაშვილი და სხვები. ამათ შორის ილია ყველაზე ხანდაზმულია, რომლის გამოცდილებას ოქროს ფასი აქვს, ხოლო სიტყვას — დიდი წონა. არ ყოფილა შემთხვევა ბრიგადის წევრებს ოდესმე საქმისათვის ეღალატონ.

— მოსკოვში ყრილობაზე რომ გახლდით, — გვიამბო გივომ, — და კრემლის დიდ სასახლეში გამოსვლებს რომ ვუსმენდი, ნუ დამძრახავთ და, ხანდახან გონებით ისევ ჩვენს ცხვართან, ჩემს მეგობრებთან ვიყავი, ზამთარი მაინც და მაინც კარგი როდი იყო. აგერ მთელი ზამთარი და გაზაფხული გავიდა და ნოლაეთში ცის ნამი არ ჩამოვარდნილა, ბალახი ერთპირად გადახმა. მადარდებდა ცხვარიც და ხალხიც, ამიტომ იყო, მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, მაშინვე ცხვარს მივაშურე. ძალიან გამიხარდა, ყველაფერი კარგად რომ დამხვდა. ჩემს ამხანაგებს ვაქაცურად ემუშავნათ, ჩვენი ბრიგადირი, ყრილობის დელეგატი არ შევარცხვინოთო.

ამიტომ იყო, რომ ბრიგადა წარმატებით დაუბრუნდა მთებს, ყოველი ასი ნერბიდან ამდენივე ბატკანი შევინარჩუნეთ, ცხვარს იმდენი მატყული გავაპარსეთ, რამდენსაც ვალდებულება ითვალისწინებდა, მგზავრობისას არცერთი ცხვარი არ მოგვკლებია, თუმცა ტრასის უკარგისობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ახლა რა გვეჭირს, მართალია, საძოვრები საერთოდ გვაქვს, მაგრამ ცხვარს მაინც გაორკეცებული ენერგიით ვუვლით და მოვუვლით, მაშ რის კომუნისტები ვართ..

გივისა და მისი მეგობრების შეგნებაში ძველ მწყემსურ ტრადიციებთან ერთად ორგანულად არის შერწყმული კომუნისტის ჭეშმარიტად სპეტაკი მორალური თვისებები, სწორედ ეს არის მათი ძალა. მათი პირადი მაგალითი მისაბაძია ყველასათვის.

მე ვესაუბრე ზოგიერთ მათგანს. აი, გივი ღუდუშაური, ახალგაზრდა ჩასკვნილი. იგი იმ სამი ვაქაცის ღვიძლი ძმა, რომლებსაც ყოველ ზამთარს სიონელთა ცხვარი დაუდით კასპისპირეთში და არასოდეს პირი არ შეურცხვენიათ, აი, კიდევ, იმავე კოლმეურნეობის მწყემსი ვაჟა გელაძე, კომკავშვილი, რომელმაც დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და გულმა მაინც არ მოუთმინა, წინაპართა საქმეს — მეცხვარეობას მიჰყო ხელი. ამჟამად ზოოვეტინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად, იყო ლენინის ორგზის ორდენოსანი ბრიგადირის გიგო გელაძის ბრიგადაში, შემდეგ ოთხ ძმა ღუდუშაურებთან, ერთად, ხოლო შარშანდელ წლის შემოდგომიდან ნიკო გუჯარიანის ბრიგადაშია. ვაჟას ფარაში 1.559 ნერბია და ამდენივე ბატკანი გაზარდეს.

ჩამოთვლილი მწყემსები ხევში სახელგათქმული ვაქაცები არიან ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო — ხევი სამართლიანად ითვლება მომთაბარე მეცხვარეობის კლასიკურ კუთხედ. გამოდის, რომ მისი მოწინავე შვილებიც ამ საქმის კლასიკოსები არიან.

მწყემსი, მეცხვარე ბუნების ღვიძლი შვილები არიან. უნდა ნახოთ, როგორ უყვარს, რა ბავშვივით ელოლიავება მწყემსი ჯერ კიდევ უსუსურ ბატკანს, რომლის ძიძაც თვითონვეა. ბევრჯერ მინახავს ბატკნებით უბეგამოვსებული მეცხვარე, ეს ზამთარში ხდება. მწყემსი რომ არა, ბატკანი ტრიალ მინდორში სიცივის მსხვერპლი გახდებოდა. ამიტომ არის, რომ ნამდვილ მწყემს თავისივე ხელით შვილივით გაზრდილი ბატკნის დაკვლა არ შეუძლია.

სხვათა ნათქვამებიც მოვისმინე გივის ვაქაცობაზე: ჩვენი მთავარი იმედია, თბილისში გინდ ხუთნი ვყოფილვართ და გინდა ერთი გივი! დაუღალავი ვაქაცია. რაც კარგი გაკეთებულა, — სუ მაგის ხელთაა. მაგის უფროსი ძმაც — ვანო სეთურიძეც ეგეთი იყო, სამ შეეძლო ცხვარში დადგომა, მეტე ქარიშხალში ღამე გარეთ დარჩა ცხვართან ერთად, გაცივდა, ამხანაგებს კი არ უღალატა...

მადლობა სამშობლოს, რომელმაც ასეთი გმირები დაბარდა.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სიონი, ყაზბეგის რაიონი.

• • •

სურათზე: გივი სეთურიძე.

11 ივლისი მებადურის დღეა

დღეადამ, ყოველგვარ ამინდში შრომითს ვახტზე დგანან საქართველოს მებადურები. მათ სამშობლოს უპატაკეს, რომ წლის განვლილი პერიოდის დავალებები ვადამდე შესრულდა და ბევრმა კოლექტივმა დროს გაუსწრო. სურათებზე: ზემოთ — აჭარის თევზეერის სამმართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მებადური ბ. კობერიძე; ქვემოთ — მებადურები თევზს იპერენ აჭარის ნაპირებთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ეფექტიანობა, ხარისხი, პასუხისმგებლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად დამკვრელურად შრომობენ „საქმეშვრომელის“ გაერთიანების სამრეწველო კოლექტივები

დღეს საქართველოს მებადურები მეთორმეტედ აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს. ისინი ახლა განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობენ, თევზის გადამმუშავებელ კომბინატებში, სხვა კოლექტივებში დიდი აღფრთოვანებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელმაც დიდი შეფასება მისცა საქართველოს კომუნისტთა საქმიანობას ამ უკანასკნელ წლებში. მებადურები აჯამებენ განვლილ ნახევარ წელიწადში გაწეული მუშაობის შედეგებს და ხაზავენ გზებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ყველა რგოლში ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რა მაჩვენებლებით ეგებებიან თავიანთ დღესასწაულს საქართველოს მებადურები და როგორია მომავლის პერსპექტივები? — გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხა „ხაქთევზმრეწვის“ გაერთიანების უფროსი ლევან უკლებამ.

— ჩვენი სამრეწველო კოლექტივები გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და ერთსულოვნად იწონებენ რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას, რომელიც ამ დადგენილებით დასახული ამოცანებისათვის ახალი სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ითვალისწინებს დევიზით: „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დიდი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის თანამგზავრი“.

აჩაღებენ რა ახალ შეჯიბრებას, საქართველოს მებადურები პარტიასა და მთავრობას უპირველებენ, რომ ნახევარი წლის განმავლობაში მაჩვენებლებით ჩამოვიდეს ბოლოს. ამასთან წარმოების ზრდის ტემპი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადიდდა.

მაგრამ წინ დიდი ამოცანებია. თევზის მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, საწარმოო კოლექტივებმა ამ ხუთწლედში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაჭრან, რომლებიც თევზის პროდუქტებით მოსახლეობის სრულყოფილად მომარაგების საშუალებას მოგვცემს. მოსახლეობისათვის ცოცხალი თევზის ძიების კარგი ორგანიზაცია და მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქტების უხვად დამზადება თევზის მრეწველობის მუშაკთა ხანგრძლივი პერიოდის ამოცანაა. რაც უფრო მეტი და ძვირფასი ჯიშის თევზეულს მივიღებთ შიდა წყალსატევებიდან, მით უფრო მალე გადავჭრით ამ პრობლემას.

ამ მხრივ სამუშაოები უკვე ფართო ფრონტით მიმდინარეობს. მაგალითად, ახლახანს ნატანებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სატბორე მეურნეობა, სადაც კობრსა და სქელშუბლასთან ერთად გამოვზრდით ძვირფასი ჯიშის თევზებს — თართისებრთა ჯიშების ჭიბრიდს — ბესტერს. წლიურს დამთავრდება გეჯეთის (ცხაკაიას რაიონი) 200 ჰექტარი სიდიდის სატბორე მეურნეობის შენებლობა. ეს მეურნეობა რუსპუბლიკის მოსახლეობას ყოველწლიურად 400 ტონა ცოცხალ თევზს მიაწვდის.

არც ერთი ჩამორჩენილი არ უნდა იყოს ჩვენს რიგებში! — ამ დევიზით გააჩაღეს შეჯიბრება ჩვენმა საწარმოო კოლექტივებმა, როცა წლის მეორე ნახევრის გეგმის და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას შეუდგნენ. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეათე ხუთწლედის პირველი წელიწადი სანიმუშო საწარმოო მაჩვენებლებით დამთავრონ.

მებადურთა დღესასწაული

9 ივლისს მოსკოვში გაიმართა მებადურის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში შეკრიბნენ შეჯიბრების გამარჯვებულნი და წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნ. პ. კუდრიავცევმა. მან აღნიშნა, რომ დარგის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალება და ათიათასობით ტონა ზედგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

პარტიის მებრძოლი თანაშემწე

მოსკოვში, გაზეთ „პრავდის“ კულტურის სახლში 7 ივლისს გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნისათვის“ ლენინის ორდენის გადაცემას. პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, პოეტები და ჟურნალისტები.

დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ი. ვ. კაპიტონოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით მან მხურვალედ მიესალმა ჟურნალის რედაქციის შუშაკებსა და ავტორთა აქტივს ეს დიდი და ღირსშესანიშნავი მოვლენა. ი. ვ. კაპიტონოვმა რედაქციის კოლექტივს, საზეიმო კრების ყველა მონაწილეს გულთბილად მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა პირველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

ი. ვ. კაპიტონოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეკრებილთა ტაშის გრიალში ორდენი მიანიჭა ჟურნალის დროშას.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, პოეტები და ჟურნალისტები.

ეს სიტყვები განსაკუთრებით მიესადაგება დღევანდელ დღეს, როცა საქართველოს მშრომელები

□ მწენებელი — დისციპლინა, პასუხისმგებლობა
□ რუსთაველ მეტალურგთა მაგალითისამებრ

მტკიცედ დავიცვათ მშენებლობის ვადები

ჰიათურის „მარგანეშენის“ ტრესტის კოლექტივმა დისციპლინის განმტკიცებით, პასუხისმგებლობის ამაღლებით გადაწყვიტა კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა მოუმზირნეობისა და უყირათიანობისათვის, აამაღლოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა და შეამციროს მშენებლობის ვადები

მარგანეცის ქალაქის მშრომელები, „ჰიათურმარგანეშენის“ ტრესტის კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელმაც ესოდენ დიდი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას უკანასკნელი წლების მანძილზე. მშენებელთა კოლექტივებმა ღრმად შეისწავლეს ამ დოკუმენტის თვითეული დებულება და რუსთაველ მეტალურგთა მაგალითისამებრ გადაწყვიტეს გააჩაღონ შეჯიბრება სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ყველგან, ყველა რგოლში წესრიგის დამკვიდრებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სხვა დარგებთან ერთად დადებითად არის შეფასებული ქართველ მშენებელთა საქმიანობა, რაშიც გარკვეული წვლილი ჰიათურელ მშენებლებსაც მიუძღვიან. და ჩვენც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოვჩნდით. ესოდენ დიდ დაფასებას სანიმუშო საქმეებით, დამკვრელური შრომით უნდა ეუპასუხოთ.

ტრესტის კოლექტივი ამჟ მობილიზებული და გამარჯვების მტკიცე რწმენით შეკავშირებული არასდროს არ ყოფილა. ყველგან ერთსულოვნად შრომობენ, ყველგან უკეთესი საქმიანობის გზებს ეძებენ და გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ.

ეს გასაგებიც არის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ერთხელ კიდევ შეგვახსენა ის დიდი ამოცანები, რომელთა გადაჭრა ჩვენს კოლექტივს ახალ ხუთწლედში აკისრია. შესასრულებელია 50 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და, ცხადია, ზედმიწევნით ზუსტი, გააზრებული შრომის ორგანიზაცია არის საჭირო.

ტრესტის მეტალურგთა თაოსნობას რომ იწონებენ და მზარს უჭერენ, მშენებლები ერთხელ კიდევ აბუსტებენ თავიანთი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ეძებენ გზებს სამშენებლო ობიექტების გადაზე ადრე ჩაბარებისათვის. ჩასაბარებელი ობიექტები კი ბევრია.

ქალაქში მწყობრში უნდა ჩადგეს ახალი სამმლავრეები, რომელთა წლიური მწარმოებლობა ხუთწლედის ბოლოს 1.955 ათასი ტონა მარგანეცი იქნება. წლიურს მწყობრში ჩადგება 225 ათასი ტონა მწარმოებლობის მღარობები და კარიერები დიმიტროვის, ლენინის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოებში.

გაფართოვდება საბინაო მშენებლობა. 1980 წლამდე ჩვენმა მშენებლებმა 35.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩააბარონ. ქალაქს სამი მაღლივი საცხოვრებელი სახლი დაამშვენებს. ამასთან განვაგრძობთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე მუშაობას. მარტო წლიურს მშენებლებმა სულ 10 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები უნდა შეასრულონ.

ამ დავალების შესრულება, ცხადია, სწრაფ რიტმს, ორგანიზებულობას, სამუშაოთა განრიგის ზუსტ დაცვას, მშენებლობებზე მოწინავე მეთოდების დანერგვას, ხარისხისათვის ბრძოლას, მომჭირნეობის მკაცრ რეჟიმს, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ახალ-ახალი რეზერვების ძიებას და დანერგვას მოითხოვს.

ამიტომ, ვფიქრობ, დიდ დახმარებას გაგვიწევს რუსთაველ მეტალურგთა მაგალითისამებრ გაწეული შეჯიბრება, რომელიც ყველა რგოლში, ყველა უბანზე სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, პასუხისმგებლობის ამაღლებას და სანიმუშო წესრიგის დამყარებას ითვალისწინებს. მშენებლობებზე ეს შეჯიბრება გაიწმენდა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიის და მომჭირნეობის შედეგად დამატებითი რეზერვების გამოვლინებისათვის.

მხურვალედ იწონებენ რა რუსთაველთა პატრიოტულ ინიციატივას, ჰიათურის „მარგანეშენის“ ტრესტის მშენებლები ვალდებულებას კისრულობენ ბრიგადული ორმის მასობრივად დანერგვით, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებით წლიურს 1.010 ტონა ცემენტი, 54 ტონა ლითონი, 420 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა და 400 კვადრატული მეტრი მინა დაზოგონ, მნიშვნელოვნად შეამცირონ სამშენებლო ვადები და სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

ჯ. რაზმაძე,

„ჰიათურმარგანეშენის“ ტრესტის მმართველი.



ცოდნის, სიბეჯითის გამოცდა

ცის შესაბამისობით ჩატარდა გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა არცთუ მცირე ნაწილი მაღალი პედაგოგიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა გამოცდილების სადღეისო მოთხოვნათა დონეზე ჩატარებასა და ობიექტურად შეფასებას. მეტნაკლებად წარსულს ჩაბარდა სხვადასხვა მახინჯი საშუალებით ფონს იოლად გასვლის ცდები. შარშან, მაგალითად, თბილისის 75-ე საშუალო სკოლაში გამოცდები ინსტრუქციის დარღვევით ჩატარდა, წერითი ნამუშევრების ოქმი კი ორა, ზეპირი გამოცდის ოქმიც კი დროულად არ გაფორმდა, ნიშნები ფარატინა ქაღალდზე იწერებოდა. ეს მხედველობიდან არავის გამორჩენია და დანშაპავებიც სამართლიანად დაისაჯნენ. ამგვარი უდარდელობითა და უპასუხისმგებლობით დავალებულთ „გამოფიზიზლების“ საშუალება მიეცათ და მათ მუშაობა მეცათად გაეუმჯობესებინ. ამან საოცარელი გვლენა მოახდინა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხზე. პედაგოგიური კოლექტივები სწავლების პროცესში ცდილობენ უნარიანად გამოიყენონ მუშაობის ახალი ხერხები და მეთოდები, თვალსაჩინობა, სწავლების ტექნიკური საშუალებები, ატარებენ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის დასაძლევად გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა. ყოველივე ამის შედეგად გარკვეულად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა, პროქტიული საკმაონობისათვის. მათი მომზადება; ეს რომ ასეა, გამოცდებმა გვიჩვენა. იგი, შეიძლება ითქვას, ორგანიზებულად ჩაიწყო. საგამოცდო ინსტრუქციებმა ბალნიც, ამიტომ იყო, მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, მაშინვე ცხვარს მივაშურე. ძალიან გამიხარდა, ყველაფერი კარგად რომ დამხვდა. ჩემს ამხანაგებს ვაქაცურად ემუშავნათ, ჩვენი ბრიგადირი, ყრილობის დელეგატი არ შევარცხვინოთო.

ამიტომ იყო, რომ ბრიგადა წარმატებით დაუბრუნდა მთებს, ყოველი ასი ნერბიდან ამდენივე ბატკანი შევინარჩუნეთ, ცხვარს იმდენი მატყული გავპარსეთ, რამდენსაც ვალდებულება ითვალისწინებდა, მგზავრობისას არცერთი ცხვარი არ მოგვკლებია, თუმცა ტრასის უკარგისობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ახლა რა გვეჭირს, მართალია, საძოვრები საერთოდ გვაქვს, მაგრამ ცხვარს მაინც გაორკეცებული ენერგიით ვუვლით და მოვუვლით, მაშ რის კომუნისტები ვართ..

გივისა და მისი მეგობრების შეგნებაში ძველ მწყემსურ ტრადიციებთან ერთად ორგანულად არის შერწყმული კომუნისტის ჭეშმარიტად სპეტაკი მორალური თვისებები, სწორედ ეს არის მათი ძალა. მათი პირადი მაგალითი მისაბაძია ყველასათვის.

მე ვესაუბრე ზოგიერთ მათგანს. აი, გივი ღუდუშაური, ახალგაზრდა ჩასკვნილი. იგი იმ სამი ვაქაცის ღვიძლი ძმა, რომლებსაც ყოველ ზამთარს სიონელთა ცხვარი დაუდით კასპისპირეთში და არასოდეს პირი არ შეურცხვენიათ, აი, კიდევ, იმავე კოლმეურნეობის მწყემსი ვაჟა გელაძე, კომკავშვილი, რომელმაც დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და გულმა მაინც არ მოუთმინა, წინაპართა საქმეს — მეცხვარეობას მიჰყო ხელი. ამჟამად ზოოვეტინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად, იყო ლენინის ორგზის ორდენოსანი ბრიგადირის გიგო გელაძის ბრიგადაში, შემდეგ ოთხ ძმა ღუდუშაურებთან, ხოლო შარშანდელ წლის შემოდგომიდან ნიკო გუჯარიანის ბრიგადაშია. ვაჟას ფარაში 1.559 ნერბია და ამდენივე ბატკანი გაზარდეს.

ჩამოთვლილი მწყემსები ხევში სახელგათქმული ვაქაცები არიან ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო — ხევი სამართლიანად ითვლება მომთაბარე მეცხვარეობის კლასიკურ კუთხედ. გამოდის, რომ მისი მოწინავე შვილებიც ამ საქმის კლასიკოსები არიან.

მწყემსი, მეცხვარე ბუნების ღვიძლი შვილები არიან. უნდა ნახოთ, როგორ უყვარს, რა ბავშვივით ელოლიავება მწყემსი ჯერ კიდევ უსუსურ ბატკანს, რომლის ძიძაც თვითონვეა. ბევრჯერ მინახავს ბატკნებით უბეგამოვსებული მეცხვარე, ეს ზამთარში ხდება. მწყემსი რომ არა, ბატკანი ტრიალ მინდორში სიცივის მსხვერპლი გახდებოდა. ამიტომ არის, რომ ნამდვილ მწყემს თავისივე ხელით შვილივით გაზრდილი ბატკნის დაკვლა არ შეუძლია.

სხვათა ნათქვამებიც მოვისმინე გივის ვაქაცობაზე: ჩვენი მთავარი იმედია, თბილისში გინდ ხუთნი ვყოფილვართ და გინდა ერთი გივი! დაუღალავი ვაქაცია. რაც კარგი გაკეთებულა, — სუ მაგის ხელთაა. მაგის უფროსი ძმაც — ვანო სეთურიძეც ეგეთი იყო, სამ შეეძლო ცხვარში დადგომა, მეტე ქარიშხალში ღამე გარეთ დარჩა ცხვართან ერთად, გაცივდა, ამხანაგებს კი არ უღალატა...

მადლობა სამშობლოს, რომელმაც ასეთი გმირები დაბარდა.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სიონი, ყაზბეგის რაიონი.

• • •

სურათზე: გივი სეთურიძე.

ახალი დანიშვნა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვლადიმერ გრიგოლის-ძე ლომონოსოვი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

• • •

ვ. გ. ლომონოსოვი დაიბადა 1928 წელს, არის რუსი, სკკპ წევრი 1950 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტი-

შრომითი საქმიანობა დაიწყო ოსტატის თანაშემწედ. შემდეგ იყო მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ ფურცელსაგლინავი. 1958 წლიდან მუშაობდა პარტიის ქალაქ მოსკოვის კალინინის რაიკომის მდივნად, პირველ მდივნად, 1962 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს თავმჯდომარედ. 1965 წლიდან უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

არჩეული იყო სსრ კავშირის მეშვიდე, მერვე და მეცხრე მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

(საკდესი).

გმირთა ხსოვნას

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გმირთა ხსოვნის მონუმენტის საუკეთესო პროექტისათვის საკავშირო ღია კონკურსის მოწყობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ სსრ კავშირის მხატვართა კავშირთან, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირთან და სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიასთან ერთად გამოაცხადა საკავშირო ღია კონკურსი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქ მოსკოვში ასაგები მონუმენტის საუკეთესო პროექტისათვის.

კონკურსზე წარმოდგენილ საუკეთესო პროექტებს მიენიჭებათ პრემიები:

პირველი პრემია — 5 ათასი მანეთი,
მეორე პრემია — 3 ათასი მანეთი,
მესამე პრემია — 2 ათასი მანეთი,
ათი წამახალისებელი პრემია — 500 მანეთი თვითეული.

კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და წინადადება უნდა გაიგზავნოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში შემდეგი მისამართით: ქალაქი მოსკოვი, პოფაკავშირული ქუჩა, სახლი 76. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს: „საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გმირთა ხსოვნის მონუმენტის პროექტის კონკურსისათვის“.

სკოლა და ცხოვრება

**ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები ბალის ჩატარებისათვის მზადება გაზრდილი პასუხისმგებლობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამჟამად ჩვენში სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული ფორმალიზმის, ლიბერალიზმისა და ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ. ამაღლებულ განწყობილ

მსოფლიოს ამბები

10 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკადესი და უსხოეთის ჯრესის სააგენტოები იტყობინებიან

მოძმე კპარტიები იწონებენ

გრძოლის ახალი ჰორიზონტები

სოფია. (საკადესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა დელეგაციის ანგარში ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მუშაობის შესახებ, გამოთქვა სრული თანხმობა კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტისადმი და სავსებით მოიწონა დელეგაციის საქმიანობა, ნათქვამია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ აღნიშნა, რომ კონფერენციის მოწვევის ინიციატივა დროული და სასარგებლო იყო, ხოლო მისი ჩატარება ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი წარმატებაა.

ახლანდელი ხელშეწყობი ვითარება და კონფერენციის მიერ ერთსულოვნად მიღებული დოკუმენტი ახალ ჰორიზონტებს სახავს საერთაშორისო ცხოვრების დადებითი ტენდენციების განმტკიცებისათვის საბრძოლველად. კონფერენცია არამარტო მოწმობს, რომ გაიზარდა კომუნისტური პარტიების როლი საერთო ანტიმონოპოლისტურ და ანტიიმპერიალისტურ ფრონტში, არამედ აგრეთვე ახალი გამოხატულებაა კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიების მტკიცე გადწყვეტილებისა გაიაღონ უფრო ფართო სოციალური სათუძველზე ბრძოლა ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

კონფერენციის მიერ მიღებული დოკუმენტი რეალისტური პოლიტიკური პლატფორმაა დაძაბულობის შენელების შეუქცევად პროცესად გადაქცევისათვის, ყველა იმ პრინციპისა და შეთანხმების მთლიანად გამოყენებისათვის საბრძოლველად, რომლებიც ჩამოყალიბებული ია ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის დოკუმენტის იმ დებულებებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა ანტიკომუნიზმის იზოლირება და დამარცხება, ბრძოლა იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც აჩაღებენ კამპანიას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურღვევი პრინციპებისადმი ერთგული ბულგართის კომუნისტური პარტია კვლავაც არ დაიშურებს ძალღონეს ამ მიზნის მისაღწევად.

მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით

ვენა. (საკადესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მოიწონა ავსტრიის კომპარტიის დელეგაციის საქმიანობა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაზე. პოლიტბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც გაზეთმა „ფოლკსშტიმმ" გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ კონფერენცია მოწმობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდ წარმატებას.

29 კომუნისტური პარტიის მიერ მოწონებული დოკუმენტი, ნათქვამია პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაში, ამხანაგური, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული დისკუსიის შედეგია. იგი წარმოადგენს ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ერთობლივ პროგრამას. ამავე დროს იგი სტიმულს აძლევს თითეული ცალკე პარტიის პოლიტიკურ ინიციატივებს მისი საქმიანობისა და ბრძოლის პირობების შესაბამისად.

ავსტრიაში კომუნისტები იბრძოლებენ ქვეყნის ნეიტრალიტეტიდან გამომდინარე პოლიტიკურ ეალდებულებათა აქტიურად დაცვისათვის. მათ სურთ სხვა დემოკრატიულ ძალებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ პელსინკში მიღებულ გადაწყვეტილებათა ყოველმხრივ შესრულებას.

მონოპოლიათა მოძალეობის წინააღმდეგ

გმს ჰოლის გამოსვლა

ნიუ-იორკი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების უბადაღებული ბურუუაზიული „დემოკრატიის" სისტემა.

ამჰერსტში (მასაჩუსეტსის შტატი) გამოსვლისას მან თქვა, რომ ახლა ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანია ცხადყოფს: არც რეაქციულ ელებსა და არც დემოკრატებს, რომლებიც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს იცავენ, არ შეუძლიათ ქვეყანას შესთავაზონ პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება მონოპოლიათა მოგალეობის წინააღმდეგ და დასახავს ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემების გადაჭრის ქმედით გზებს.

ეგრეთ წოდებული ორპარტიული სისტემა, თქვა გ. ჰოლმა, ამერიკელ ხალხს არჩევნების ნამდვილ უფლებას უსპობს. კანდიდატს, რომელსაც პარტიული ხელმძღვანელობა არ წამოაყენებს, არ შეუძლია პრეზიდენტის პოსტის დაიკავება.

პროგრესული ძალების გზაზე სულ უფრო მეტი წინააღმდეგობა იქმნება, თქვა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ამ საარჩევნო კამპანიაში შექმნილია ისეთი პირობები, რომ საჭირო რადენობის ხელმოწერითა შეგროვებაც კი არ აძლევს დამოუკიდებელ კანდიდატს კენჭიაყრის სიებში შეტანის გარანტიას.

გ. ჰოლმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის პრეტენდენტები ბურჟუაზიული პარტიებისაგან თავიანთ საარჩევნო გამოსვლებში განზრახან უგულებელყოფენ მუშათა ინტერესებს, თქვა: მონოპოლიათა პარტიებს არ შეუძლიათ წამოაყენონ ანტიმონოპოლისტური პროგრამა და ამიტომ დუმილს ირჩევენ. ამჟამინდელ ამერიკელ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ძან ხაზგასმით აღნიშნა, მხოლოდ პენტაგონის გაბერილი ბიუჯეტის შეკვეცის, კამალეულ შეიარაღების შეწყვეტის, სამხედრო ბაზების თანდათანობით ლიკვიდაციისა და ბანკებისა და კორპორაციების მოგებათა ნაწილის ჩამორთმევის გზით შეიძლება, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღოს საკმარისი სახსრები ამისათვის, რომ ბოლო ოლ ის უმუშევრობას, რასობრივ დისკრიმინაციასა და ქალაქების კრიზისს.

გ. ჰოლმა ამერიკელებს მოუწოდა, რომ ხმა მისცენ კომუნისტების კანდიდატებს. და განაცხადა, ეს მსხვილი კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ პროტესტის საუკეთესო ფორმა იქნებაო.

დემოკრატები ემზადებიან

ნიუ-იორკი, (საკადესი). ნიუ-იორკში მთავრდება მზადება დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობისათვის, რომელიც 12-15 ივლისს გაიმართება ქვეყნის უდიდეს სპორტულ დარბაზში — „მედისონ სკვერ-გარდენში".

ყრილობის 3.008 დელეგატის ოფიციალურა ამოწანა დასახელონ დემოკრატიული პარტიის კანდიდატები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე და შეიმუშაონ პარტიის საარჩევნო პროგრამა.

ყრილობის მთავარ მიზანს — პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებას — პრაქტიკულად მიაღწევს ეგრეთწოდებული პირველადი არჩევნებისა და პარტიული კონფერენციების დროს იმ შტატებში, სადაც არჩევნები არ გამართულა. წინასაარჩევნო ბრძოლის ამ პირველი ტურის სხვადასხვა ეტაპზე პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების უფლებისათვის იბრძოდა დემოკრატიული პარტიის 12 წამყვანი მოუვაწე.

არცერთ პრეტენდენტს ამომრჩეველთა განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. საკმარისია ითქვას, რომ პირველადს არჩევნებში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე ამერიკელთა მესამედზე ნაკლები. მიუხედავად ამისა, წინასწარი არჩევნების შედეგებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ამომრჩეველები გადაჭრით უარყოფენ პარტიის მემარჯვენე რეაქციული ფრთის წარმომადგენლებს.

მეორე მხრივ, პარტიის ეგრეთწოდებული ლიბერალური ფრთის წარმომადგენლება გათიშული აღმოჩნდნენ და, ვინაიდან ერთმანეთს ებრძოდნენ, ვერ მიიღეს სათანადო მხარდაჭერა. ამის შედეგად პირველ ადგილზე აღმოჩნდა მანამდე ნაკლებად ცნობილი ჯორჯიის შტატის ყოფილი გუბერნატორი ჯ. კარტერი. ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე ყრილობის გახსნამდე, მან შეიპარა 1.505 დელეგატის ხმა, რითაც გაიხადა ყრილობაზე პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება კენჭისყრის პირველსავე ტურში.

მ ი ი ღ ე ს გადაწყვეტილება

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომა

ბერლინი. (საკადესი). ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა აქ გამართა თავისი 77-ე სხდომა.

სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე სესიის დადგენილებების რეალიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციასთან.

სხდომას თავმჯდომარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ოლშეესკი, რომელიც შეუდგა აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

კამათი პარლამენტში

თუმცა კანონპროექტი მოიწონეს...

ლონდონი. (საკადესის კორესპონდენტი ა. შალნევი გვატყობინებს: ინგლისის პარლამენტის თემთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ბრიტანეთის კუნძულებზე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. იგი ავითარებს რასობრივი ურთიერთობის შესახებ უკვე მოქმედი კანონების დებულებებს და, კერძოდ, კრძალავს გამოსვლებს, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ რასობრივ შუღლს.

პარლამენტში გამართული ხანგრძლივი კამათი მოწმობს, რომ ბრიტანეთის კუნძულების მკვიდრი მოსახლეობისა და იმიგრანტების, უმთავრესად აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების პრობლემა, განდა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პოლიტიკური პრობლემა. მთელი რიგი პარლამენტარების განცხადებებმა, რომლებმაც კანონპროექტის წინააღმდეგ გალაშქრეს, ცხადყვეს, რომ, თუმცა კანონპროექტი მოიწონეს, იმისათვის, რომ რასიზმი აილაგმოს, საჭიროა საზოგადოებრიობის უფრთოესი წრეების მტკიცე ბრძოლა.

მაგალითად, თემთა პალატის დეპუტატმა ე. პაუელმა, რომელმაც საკადალოდ გაითქვა სახელი, როგორც პირწავარდნელმა რეაქციონერმა. და რასისტმა, კამათის დროს პირდაპირ მოსთხოვა მთავრობას განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსულ იმიგრანტთა „მასობრივი რეპატრიაცია".

მ კ ვ ლ ე ლ ე ბ ი გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ს

ანკარა, (საკადესი). როგორც თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ო. ასლთურქმა განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობიდან გაათავისუფლეს მამა და შვილი ბრაზინსკასები — საბაერო მეკობრეები, რომლებმაც 1970 წელს ჩაიდინეს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული — იარაღით ხელში თავს დაესხნენ ეროფლოტის თვითმფრინავს ისტამბულიდან სოხუმში მისი რეგულარული რეისის დროს. ბანდიტებმა მოკლეს ბორტგამყოლი, მძიმედ დაჭრეს პილოტი და შტურმანი, სათრიბუნაზე ჩაადგეს მგზავრთა სიცოცხლე. ითქმოლეს თვითმფრინავი დამჯდარიყო თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ტრაპეზონში.

საბჭოთა მთავრობა დაბეჯითებით სთხოვდა თურქეთის ხელისუფლებას, რომ მისთვის გადმოცეთ მკვლელები, რათა საბჭოთა სასამართლოს ეიესამართლები ნ ა ისინი. მაგრამ ეს კანონიერი თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ და თურქეთის სასამართლო ინსტანციები რამდენიმე წელიწადს აპეანურებდნენ ბრაზინსკასების „საქმეს", არ იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ბოლოსდაბოლოს ორივე დამხაშავე საპყრობილედან გადაიყვანეს გადაადგილებულ პირთა ბანაკში ქალაქ ოზგათში, საიდანაც მიმდინარე წლის ივნისში შეეფერხებლად „გაიქცნენ", ცნობილი გახდა, რომ თავდაპირველად მათ თავი შეაფარეს ამერიკის შეერთებული შტატების ანკარის საელჩოს, მოგვიანებით კი, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, ისინი გადასცეს თურქეთის პოლიციურ ხელისუფლებს.

ცხადია, რომ სასამართლოს ახლანდელი გადაწყვეტილება მკვლელთა განთავისუფლების შესახებ მკვეთრად იწინააღმდეგება საბჭოთა საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, რომ დანშაულეები გადასცენ საბჭოთა კავშირს და სანიმუშოდ დასაჯონ ისინი.

ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მონაწილეობით

გაიხსნა ბოლოის საერთაშორისო ბაზრობა

კოლუმბიის დედაქალაქში გაიხსნა მე-11 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს ნ ი ქვეყანას, მათ შორის საბჭოთა კავშირი და ზოგიერთი სხვა სოციალისტური სახელმწიფო.

ბაზრობა გახსნა კოლუმბიის პრეზიდენტმა ალფონსო ლოპეზ მიკელსენმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იგი ხელს შეუწყობს ყველა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარებას.

ლ ი ბ ა ნ ი ო ნ ი ს ცეცხლში

ბეირუთი, (საკადესი). ლიბანის დედაქალაქსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლებს განაგრძობენ, ერთი მხრივ ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, მეორე მხრივ, მემარჯვენე ქრისტიანული ხამხედრო შენაერთები.

თითქმის სამი კვირაა ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მცირერიცხოვანი ძალები პუკაცურად იცავენ მემარჯვენეთა მიერ ალყაშემორტყმულ პალესტინელთა ტელ-ზაათარის რაიონს ბეირუთის აღმოსავლეთ გარეუბანში. ბანაკს განუწყვეტლივ უშენენ რაკეტებისა და არტილერიის ცეცხლს.

გაზეთი „ორიან-ეური" იტყობინება, რომ ფიცხელი ბრძოლების შემდეგ მემარჯვენე ძალებმა ხელთ იგდეს ქალაქები შეია და ამიუნი ჩრდილოეთ ლიბანში. მათ არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქალაქ ტრიპოლს. აღნიშნულია, რომ ქალაქისათვის ცეცხლის დაშენაში მონაწილეობდა სირიის არტილერია.

პალესტინის განთავისუფლებ ა ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. არაფატმა არაბული ქვეყნებისაგან ითხოვა მოიწვიოს არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების საგანგებო თათბირი ლიბანის საკითხზე.

ბეირუთი. (საკადესი). გაიფთრებული ბრძოლები ვრცელდება ქვეყნის ჩრდილოეთში, ბეირუთსა და მის გარეუბნებში, აგრეთვე დედაქალაქის, აღმოსავლეთით მდებარე მთის რაიონებში. 9 ივლისს დაღუპა 290-ზე მეტი და დაიჭრა 360 კაცი.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მემარჯვენე-ქრისტიანული ძალები ატორპედებენ კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებას და მიზნად ისახავენ ომის გზით გაანადგურონ ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა. რაც იმპერიალიზმისა და სიონიზმის გეგმებს შეესაბამება.

ექსპერიმენტი

გარჯისათვის —საზღვარი

ორეგონის შტატის (აშშ) ქალაქ პარტლენდის ზოოლოგიური პარკის დირექტორმა დირექტორმა ოგილვიმ გადაწყვიტა ჩიტარებინა საინტერესო ექსპერიმენტი, რომლის ძირითადი იდეა ძალიან უბრალო იყო: სასუსნავი გინდა? — გაისარჯე!

დამთვალიერებელი მაიმუნების ვოლიერთან დადგეულ ავტომატში აგდებს მონეტას. მაშინვე გალიის ერთ კუთხეში ინთება ნათურა. მაიმუნი ისარგებლებს ავარდება მაღლა, მისწვდება გამომრთველს და ნათურა ქრება. იმავე წუთში მეორე კუთხეში კვლავ ინთება ნათურა. მაიმუნი გამორთავს მეორესაც და იგი „ჯილდოს" სახით იღებს ყვითელ ეტრონს, რომელსაც ჩაუშვებს „ბანანების ავტომატში" და მიიღებს დამსახურებულ სასუსნავს. მაიმუნები დამთვალიერებელთა გულუხვობაზე სულაც არ არიან დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, როცა მონეტას არავინ ჩაუდებს, გალიაში სინათლე ავტომატურად ირთვება.

მაიმუნების გარდა ზოოპარკის სხვა მობინადრეებიც „მუშაობენ საკმელის გულისათვის", თუმცა მათ ისედაც შეუძლიათ მიიღონ კუთვნილი საკვები. მაგრამ ციტრუსები, ზღვის ლომები, სპილოები, სირაქლემები და აქლემები უპირატესობას ავტომატიკას ანიჭებენ. ავტომატების „კონსტრუქტორებს ყველაზე დიდი სიფურაჩრნი მოუმზადეს აქლემებმა. ისინი თავიანთ ავარატურას სულაც არ „ემსახურებიან" ისე, როგორც კონსტრუქტორები ფიქრობდნენ. ისინი „ოფლს არ ღვრიან" იმისათვის, რომ ო�er ავამძრაონ სპეციალური ღილაკი და კუთვნილი რაციონი მიიღონ. მათ უბრალო მეთოდი „გამოიყენეს". თავს ძლიერად შიპერენ ავტომატს, დაახვალებენ და ღილაკი უკვე თავისით მოძრაობს წინ და უკან.

სპილოებისათვის შედარებით რთული ამრეგატია გამოყენებული: რკინის დაფაზე ამოჭრილია რამდენიმე წრე, რომლებშიც მორიგეობით ინთება სინათლე. სპილოები უცვებ მიხვდნენ რა უნდა გაეკეთებინათ: საჭმელი მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება, თუ განათებულ წრეს ხორთუმით შეეხებიან.

ოგილვის აზრით ბინადართ ძალიან „მოსწონთ" სიახლე.

(„ვოკრუგ სვეტა").

ტ ე ლ ე ტ ა ი პ ი ს ლ ე ნ ტ ი დ ა ნ

მ ო კ ლ ე დ

ბრიტანული ბიზნესი როდეზიაში

● ლონდონი. როდეზიაში მოქმედებს ასზე მეტი სამრეწველო, სამენო, სადაზღვევო და სავაჭრო კომპანია, რომლებსაც კონტროლს უწევს ინგლისის კაპიტალი. ამ კომპანიათა შორის არიან სახელმწიფო კომპანიები: „ბრიტიშ ლეილანდი", „ბრიტიშ ატომ კორპორეიშნი", აგრეთვე „ბრიტიშ პეტროლეუმი", რომლის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის მთავრობას ეკუთვნის.

მოჰყავთ რა ეს თვეტები, გაზეთები აღნიშნავენ, რომ როდეზიაში ბრიტანული ბიზნესის საქმიანობა ეწინააღმდეგება სანქციებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1968 წელს გამოცახდეს რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

მოწოდება პარტიის წევრებისადმი

● მოგადიშო. ღრმად უნდა შევისწავლოთ მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლები და აქტიური პრაქტიკადა უნდა გავუწიოთ მათ ხალხის ფართო მასებში, განაცხადა სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გენერალური მდივნის თანაშემწემ პარტიულ საკითხებში ისმაილ ალი აბუბაკარმა. სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა აქ დამთავრებულ სემინარზე გამოსვლისას მან მოუწოდა პარტიის წევრებს იყვნენ სომალის ახალი საზოგადოების მშენებლობის ავანგარდში.

ექსპერტთა დიდი შეუფოთება

● პარიზი. შეუწყვეტელი ინფლაცია ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტთა დიდ შეშფოთებას იწვევს. ეს ორგანიზაცია 24 კაპიტალისტურ ქვეყანას აერთიანებს.

გასული წლის მაისიდან 12 თვის მანძილზე საცალო ფასები ამ ქვეყნებში საშუალოდ 9 პროცენტით გაიზარდა, იტყობინება ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბიულეტენი, რომელიც აქ გამოდის. ეს პროცესი კიდევ უფრო მწვავედ ვლინდება ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ევროპულ ზონაში, სადაც ამავე პერიოდში სიძვირის ზრდამ 11,3 პროცენტი შეადგინა.

ესოფლიო ღღეს ესოფლიო ღღეს ესოფლიო ღღეს

სიცრუის დიდი იეროგლიფები

პოლონელი პუბლიცისტი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

ჩინეთიდან მოდის ცნობები „კულტურულ ნაღირობის" ახალი ტალღის, ასალი ინკვიზიტორული კოცონების მომზადების შესახებ, რომელზედაც უნდა დაწვან ისინი, ვინც „ხელისუფლების სათავეში დგას, მაგრამ კაპიტალისტური გზით მიდის", ვინც კვლავ გაბედა „მაო-ძე-დუნის იდეების" წინააღმდეგ გამოსვლა, ვინც კრიტიკულად ეკიდება ბელადის მოძღვრებას, მითითებებსა და ხაზს, ვინც ბედავს დიდი პროლეტარული, კულტურული რევოლუციის მიზანშეწონილობასა და პრინციპულობაში, დაეჭვებას, მაოს უშუალო ხელმძღვანელობით რომ ხორციელდება, და ცდილობს „სადავო ბანადოს მის მიერ გამოტანილი განაჩენი".

როგორც თითქმის ყოველთვის, ასეთ შემთხვევაში კამპანიის ორგანიზატორები იყენებენ ეგრეთ წოდებულ „დიდი დემოკრატიის" მეთოდს. ეს მაოს საყვარელი ხერხია მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. მას იგი ყოველთვის იყენებდა, როცა ხელმძღვანელობაში სასურველი უმრავლესობა არ ეგულებოდა ან თვითი ვოლუნტარისტული კონცეფციის მხარდამჭერთ ვერ პოულობდა. მისი არსი კი ის არის, რომ „მიმართოს უშუალოდ მასებს" და ხელმძღვანელ ორგანოებზე ზემოქმედება მოახდ-ნოს ქვემოდან და აიძულოს ისინი მოიწონონ ბელადის ხაზი და კონცეფცია.

სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ყოფილი მოადგილე დენ სიაო-პინი, რომელიც სამი თვის წინათ მაოს წინადადებით მოხსნეს „ყველა თანამდებობიდან ჩინეთის კომპარტიის შიგ და გარეთ", 1962 წელს ასე აფასებდა „დიდი დემოკრატიის" ძეთოდებს:

„...საკმარისია გაძლიერდეს „დიდი დემოკრატიის" მოძრაობა, რომ უმალ ეცემა წარმოება, სუსტდება დისციპლინა — არა, ჩვენ კი ვუშვრ მსარს ამ ფორმას, ვინაიდან იგი არ ემსახურება მუშათა კლასს, მშრომელთა ინტერესებს. ეგრეთ წოდებული დიდი დემოკრატია ეს არის ერთი ჯგუფის დამხობა და მისი ადგილის მეორის მიერ დაკავება: ასე ხდება განხეთქილება პარტიაში, ირღვევა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები და პარტიის ერთიანობა. ჩინეთის კომპარტიის ისტორიაში ჩვენ ადრეც ჩაგვიდენია მსგავსი შეცდომები..."

პოლიტიკური კამპანიები, „დიდი დემოკრატიის" პრინციპით რომ ხორციელდება, ჩვეულებრივ დაძაბულობის — „დიდი იეროგლიფების გაზეთების" გავრცელებით იწყება. ეს არის ქაღალდის ვეებერთელა ფურცლები, შეტწილად ერთმანეთზე გადაწებებული ძველი გაზეთები, რომლებზეც ტუშით დაწერილია დიდი იეროგლიფები — ტექსტი კამპანიის თემაზე. დაძაბულობს ყველგან აკრავენ. ქვრას თავს არიდებს, საეჭვო პირებად თვლიან და მისი გვარი, როგორც „მტრული ელემენტისა", კედელზეც შეიძლება გამოჩნდეს. შემდეგ სპეციალურად შექმნილი კომისიები, რომლებსაც „მემარჯვენე ელემენტების" გამოვლინება ევალებათ, აგრეთვე უმაშროების ორგანოები „მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების საფუძვლების" გამოძიებას იწყებენ. ჩვეულებრივ ასეთი გზით აღწევენ „აზრთა ერთიანობას", „ხალხის საყოველთაო აღშფოთებას" დაგმობილ „მტერთა" წინააღმდეგ.

მოღვაწეებს, რომლებსაც აკრიტიკებენ და რომლებიც ფსიქოლოგიურ დარეპრესიას განიცდიან, საჯაროდ თავის დაცვის არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ. მათზე გამუდმებით ზემოქმედებას ახდენენ, რათა აიძულონ აღიარონ თავიანთი „ვერაგული დანაშაულობანი", მიუხედავად იმისა, ჩაიდინეს თუ არა იგი, ვინაიდან, როგორც ბრალმდებლები ამბობენ, მხოლოდ „მონანიებაა" გადარჩენის ერთადერთი იმედი.

დაძაბულობში პრაქტიკულად ყველაფერი დასაშვებია: პირადი საქმეების მსილება, მაგნიტოფონურ ფირზე ჩაწერილი საუბრების გამჟღავნება. გასაკრიკიებელ პიროვნებას შეიძლება ბრალად დასდო სისხლის სამართლის დანაშაული (როგორც ეს მოხდა ბაგალეთად, ლიუ შაო-ცის მიმართ) და პოლიტიკური შეცდომა, დაუსჯელად შეურაცხყო ყოველგვარი უფლებანი ადამიანისა, ვინაიდან ეს ფორმალურად არ ნიშნავს კრიტიკას ზემოდან, და, მაშასადამე, ხელმძღვანელობა პასუხს არ აგებს „იმ ზოგიერთი გადახრებისა და შეცდომებისათვის, რომ გახდა. 1958 წელს იგი კვლავ გამოჩნდა სასწავლებლების, დაწესებულებების და ქარხნების კედლებზე და „სახალხო აღგზნების" მიზეზი გახდა, რომელმაც ხელი შეუწყო იმ „სამი წითელი დროშის" (დიდი ნახტომი, სახალხო კომუნები და გენერალური ხაზი) ვოლუნტარისტულ ი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის დაძლევას, რომელმაც ქვეყანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე ღრმა კრიზისამდე მიიყვანა.

მაო ძე-დუნის პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის ამ ფორმამ ნამდვილი „რენესანსი" „კულტურული რევოლუციის" პერიოდში განიცადა. დაძაბულობა პირველად გამოვიდა დახურული შენობებიდან და ჩინეთის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებსა და კედლებს მოედო. იგი პარტიისა და სახელმწიფოს მეტწილ ხელმძღვანელ მოღვაწეთა დისკრედიტირების საშუალებად იქცა. იგი მიმართეს მათ წინააღმდეგ, ვინც მხარს არ უჭერდა „კულტურულ რევოლუციას" მაოისტურმა უმცირესობამ არმიაზე დაყრდნობით რომ წამოწყო. მათ შორის აღმოჩნდნენ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სამდივნოს და სახელმწიფო საბჭოს წევრთა დიდი ნაწილი, ჩინეთის კომპარტიის პროვინციული და საქალაქო კომიტეტების თითქმის ყველა პირველი მდივანი, ცნობილი სარდლები, ეკონომისტები, ქვეყნის თითქმის ყველა კულტურის მოღვაწე. მათ საწინააღმდეგო მასალებს ამზადებდა კან შენის ბანაკი, რომელიც მაო ძე-დუნის ინიციატივით შექმნილ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ სამსახურს ხელმძღვანელობდა: ჯერ კიდევ 1967 „დიდი" იეროგლიფების გაზეთები", რომლებიც იფავდნენ დენ სიაო-პინს, აღნიშნავდნენ მისი პოზიციის სისწორეს, ამავე დროს აკრიტიკებდნენ ძიან ცინს და „რაფიკალებს". როგორც ჩანს, ამას „ზომიერები" აკეთებენ, რომლებიც გაურთიანებას ცდილობენ. ანტიმაოისტური ლეტსები და ფურცლები გამოჩნდა აპრილში ტიანანმენის მოედანზე გამართული ანტიმაოისტური დემონსტრაციის დროსაც. ასეთ დაძაბათა ავტორები მკაცრ რეპრესიებს განიცდიან....

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დაძაბაოს კამპანიის ორგანიზატორები, უსიამოვნო სიურპრიზების თავიდან აცილების მიზნით ცდილობენ იგი თავის კონტროლს დაუქვემდებარონ. მიუხედავად ამისა, ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებიდან სულ უფრო მეტი ცნობები მოდის ირის თაობაზე, რომ „უცნობი დამნაშავეები" კედლებზე აკრავენ „კონტრრევოლუციურ დიდი იეროგლიფების გაზეთებს, სადაც უტევენ ჩვენს საყვარელ დიდ ბელადს, თავმჯდომარე მაოს და მის რევოლუციურ ხაზს", „ცდილობენ ჩირქი მოსცხონ პეკინის რევოლუციურ წინააღმდეგობას, რომელიც ამხანაგ ძიან ცინის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელ დ ე ბ ა", „ადიდებენ რევიზიონიზმსა და რესტავრირების შავ საქონელს, რომლითაც ვაჭრობენ გამოუსწორებელი ელემენტები, ხელისუფლების ხათაგში რომ დგანან და კაპიტალისტური გზით მიდიან", „უსინდისოდ აკრიტიკებენ დიდ პროლეტარულ კულტურულ რევოლუციას, რომელსაც თავმჯდომაოე მაო ხელმძღვანელობს და ცილისმწამებლურად მას „დიდ შეცდომას" უწოდებენ"... ასეთი მაგალითები უკვე ერთეულები როდია.

დაძაბაო, რომელსაც ესოდენ ნაყრმატებით იყენებდა მაო ძე-დუნი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, შეიძლება საშიშ ბუმერანგად გადაექცეს.

ანჯეი ხალიმარსკი,
პოლონელი პუბლიცისტი.

კარიკატურისტის კომენტარი

1977 საფინანსო წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები თითქმის 113 მილიარდ დოლარს შეადგენს. (ბაზეთებიდან).

დიდი ულუფა

ი. ჟოჟიაშვილის ნახატი.

ლ ი ბ ა ნ ი ს ა ბ ა ნ კ ი ს ა ბ ა ნ კ ი

ბეირუთი, (საკადესი). ლიბანის დედაქალაქსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლებს განაგრძობენ, ერთი მხრივ ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, მეორე მხრივ, მემარჯვენე ქრისტიანული ხამხედრო შენაერთები.

თითქმის სამი კვირაა ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მცირერიცხოვანი ძალები პუკაცურად იცავენ მემარჯვენეთა მიერ ალყაშემორტყმულ პალესტინელთა ტელ-ზაათარის რაიონს ბეირუთის აღმოსავლეთ გარეუბანში. ბანაკს განუწყვეტლივ უშენენ რაკეტებისა და არტილერიის ცეცხლს.

გაზეთი „ორიან-ეური" იტყობინება, რომ ფიცხელი ბრძოლების შემდეგ მემარჯვენე ძალებმა ხელთ იგდეს ქალაქები შეია და ამიუნი ჩრდილოეთ ლიბანში. მათ არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქალაქ ტრიპოლს. აღნიშნულია, რომ ქალაქისათვის ცეცხლის დაშენაში

უცხოეთის პრესიდან

განწყობილება ქორწინებისას

დიდი ხანი არ არის, რაც დორტმუნდში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) წესად დამკვიდრდა ახლადდაქორწინებულთათვის „უჩვეულო „ხაჩუქრის" მირთმევა. ხამოქალაქო ქორწინების ცერ

ახალი ლექსები

გამარჯვების ზარი

ალექსანდრე გეგაშვილი

რეკავს, რეკავს,
რეკავს გამარჯვების ზარი...
სიწმინდის და შრომის დროშას არხევს ქარი...
ამ ზარის ხმას მივყვეთ, ამ დროშის ქვეშ მდგარი,
ხელს არ უღლის ვაჟკაცს ამ დიდ დროშის ტარი,
რეკავს, რეკავს,
რეკავს გამარჯვების ზარი!

ელავს ზღვა და კორდი, ბრწყინავს მთა და მდელო,
გამარჯვების გზაზე მიდის საქართველო.
სიხარულის გზაზე საქართველო მიდიხ...
მაშ დიდება შრომას,
გაუმარჯოს სინდისს!

აშრიალებს ლაღად ტყე ზურმუხტის ფარჩას,
დღეს მეტი აქვს ფასი ოფლისღვრას და გარჯას,
ამ დიდ დროის ლოცვად ხელთ გვიპყრია თასი,
ჩაქუჩსა და კალამს დღეს მეტი აქვს ფასი!

ემატება ცეცხლი საქართველოს ქურას,
სულ მეტ ყანას იმკის, სულ მეტ ყურძენს წურავს,
სულ მზე ადგას თავზე, წინ მიელტვის მერმიხს,
ბარაქალა! — მამულს ხმა ჩაესმის კრემლიხ.

ასჯერ მეტად გულში გავიღვივებთ ხალისს,
დაგვფრქვევია თავზე შუქი მზის და მთვარის.
ასჯერ მეტად დავგმობთ ოქრო-ვერცხლის მონებს,
გზად დავუფენთ მამულს ია-ვარდის კონებს.

რეკავს, რეკავს,
რეკავს გამარჯვების ზარი,
სიწმინდის და შრომის დროშას არხევს ქარი,
ელავს ზღვა და კორდი, ბრწყინავს მთა და მდელო,
გამარჯვების გზაზე მიდის საქართველო!

სანდრო ახმეტელის საიუბილეოდ

90 წლისთავი

ამა წლის ოქტომბერში გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელის, ნლექსანდრე (სანდრო) ახმეტელის დაბადების 90 წლისთავი სრულდება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში გაიმართა ს. ახმეტელის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის პირველი სხდომა. ამ კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა დამსწრეთ დაწვრილებით მოუთხრო იმ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება და საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი ამ ღირსსახსოვარი თარიღის შესახვედრად.

სხდომაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ვასაძე, ა. ჩხარტიშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ბ. კობახიძე; რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩახავა, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ა. ბაქრაძე, ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი თ. ჯილაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. შეანგარაძე.

ს. ახმეტელის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას ოქტომბერში მოაწყობენ საქართველოს თეატრალური საზოგადოება და თეატრალური ინსტიტუტი. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში გაიმართება საიუბილეო საღამოები. დიდი საიუბილეო საღამო მოეწყობა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში.

რესპუბლიკის თეატრები სანდრო ახმეტელის ხსოვნას უძღვნიან თავიანთ სპექტაკლებს, გადაწყდა, რომ ს. ახმეტელის 90 წლისთავის საიუბილეო საღამო გაიმართება მოსკოვშიც.

გამომცემლობა „ხელოვნება“ რუსულ ენაზე გამოუშვებს კრებულს, რომელშიც შეავა სანდრო ახმეტელის წერილები და გამონათქვამები მის შემოქმედებაზე. ქართულ ენაზე გამოვა სამტომეული, რომელიც სანდრო ახმეტელის შემოქმედებას ასახავს. პირველი ტომი გამოვა რეჟისორის იუბილესთვის. იბეჭდება აგრეთვე სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დასურათებული ალბომი.

(საქინფორმი).

□ □

ბელგიელები გაეცნობიან ქართულ კულტურას

საზღვარგარეთის ქვეყნებთან შეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით თბილისში იმყოფებოდა „ბელგია-სსრ კავშირის“ შეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ასოციაციის დელეგაცია. ამ საზოგადოების მდივნის, კომუნისტი მწერლის მარკ ბრატის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ქ. ჰასელტის საზოგადოების კულტურის ცენტრის დირექტორი პიერ ისპაიერი და ლიმბურგის პროვინციის მუდმივი დეპუტატი, უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე ემილ სმეტი.

„ბელგია — სსრ კავშირის“ შეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის „ასოციაციის“ გადაწყვეტილებით გაისად, შემოდგომაზე ბელგიაში გაიმართება საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები საბჭოთა საქართველოს მონაწილეობით. ამის გამო საზღვარგარეთის ქვეყნებთან შეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში ბელგიელ სტუმრებს მოლაპარაკება ჰქონდათ აღმართველოს საზოგადოების პოეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილესთან მ. მგელაძესთან და საზოგადოების „ექტივისტებთან.

საქართველოს დღეების დროს მოეწყობა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რისთვისაც გაიგზავნება ქართველ ფერმწერთა, გრაფიკოსთა, კერამიკოსთა, ქედურობის ოსტატთა საუკეთესო ნამუშევრები, ცალკე გაიმართება ქართული წიგნის გამოფენა, ბავშვთა ნახატების გამოფენა, მოეწყობა დიდი ფოტოგამოფენა, რომელიც ბელგიელებს თვალნათლივ გააცნობს ჩვენს ბუნებას, ხალხს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ მიღწევებს. ჩვენს კულტურას, ხელოვნებას, სპორტს. მოეწყობა აგრეთვე ქართული კულტურის უძველესი ძეგლების ფოტოგამოფენა, გაიგზავნება დიდძალი სალიტერატურო ლიტერატურა, ქართველ კომპოზიტორთა ნაჩარმოებების გრამფირფიტები, სუვენირები.

კულტურის დღეებში მონაწილეობას მიიღებს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც ბელგიის ქალაქებში გამართავს კონცერტებს. გაიმართება ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება. კულტურის დღეებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ქართველი მოდელიორები, ისანი მასპინძლებს უჩვენებენ თავიანთ ახალ ნამუშევრებს.

მოლაპარაკებას დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ დელეგაციის მეთაურს მარკ ბრატს. ვთხოვეთ ესაუბრა „ბელგია-სსრ კავშირის“ საზოგადოების მუშაობაზე.

—„ბელგია-სსრ კავშირის“ შეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ასოციაცია თავის რიგებში ბელგიის საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებს აერთიანებს. ესენი არიან სხვადასხვა პარტიის წევრები, მეცნიერები, მხატვრები, ხელოვნების მუშაკები, სამეცდელოების, პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები. საზოგადოება როგორც ფრანგულ, ისე ფლანდრიულ ენებზე დიდ პროპაგანდას უწევს საბჭოთა კავშირის მიერ მეცნიერებისა თუ კულტურის სხვადასხვა სფეროში მოპოვებულ მიღწევებს.

ურთიერთდაახლოების კარგი საშუალებაა საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების მოწყობა რომელიმე რესპუბლიკის მაგალითზე. შარშან, მაგალითად, ბელგიელები ეაიცნენ უზბეკეთის რესპუბლიკას, წლეულს გაიმართება უკრაინის რესპუბლიკის დღეები, ხოლო 1977 წლის შემოდგომაზე — საბჭოთა საქართველოს დღეები. ეს ღონისძიებები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და პროვინციებში ეწყობა.

საქართველოს დღეები ძირითადად ლიმბურგის პროვინციის ქალაქ ჰასელტში გაიმართება. ეს ქალაქი დიდი სამეწველო ცენტრია. აქ არის მეტალურგიული ქარხნები, მაღაროები, ჰასელტი კულტურის ცენტრადაც ითვლება.

ჰასელტის გარდა კულტურის დღეების დროს ქართველი მსახიობები კონცერტებს გამართავენ ბელგიის სხვადასხვა ქალაქში.

ლ. ხუბულური.

სპორტის დღესასწაულზე

ასპარეზობენ ახალგაზრდები

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნეში გაიმართა ახალგაზრდობის მასობრივ-პოლიტიკური დღესასწაული.

სოფლის ახობით მცხოვრები და აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმარი დაესწრო დიდ საჭადრაკო-საშაშო ტურნირს, მძლეოსნობაში, ფეხბურთსა და ხელბურთში, საცხენოსნო სპორტში სოფელ ლიხნისა და დურიფშის რაზმებს შორის გამართულ შეჯიბრებებს.

ეს მხიარული დღესასწაული შეჯიბრების ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულთათვის პრიზებისა და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემით დამთავრდა.

• • •

სურათებზე: ზემოთ — სოფლების — დურიფშისა და ლიხნეს გუნდებს შორის ფრენბურთში გამართული შეხვედრის მომენტი; შუაში—ექვსი ათას მეტრზე დოლის ახალგაზრდა მონაწილეები; არც ისე ადვილია ჯირითის დროს მშვილდისრით მიზანში სროლა (ქვემოთ).

ხ. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

პირველობა ე. მეკინგი

მანილის საზონთაშორისო ტურნირზე პარასკევს საღამოს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. აი მისი შედეგები: ლიუბოევიჩმა დაამარცხა ჰორტი და ბრაუნი, ცეშკოვსკიმ — ბაიასსი; მეკინგმა და ჰორტმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ბალაშოვთან, ლიუბოევიჩმა და ცეშკოვსკიმ კი — ულმანთან. მარიოტიმ, რომელსაც ხარისხი აკლდა პაიკში, ზუსტი თამაშით ყაიმს მიაღწია პოლუგაევსკისთან. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე სპასკის შეხვედრა გეორგიუსთან.

უკანასკნელ, მე-19 ტურში ყაიმით დამთავრდა მეკინგ-ტორეს, პოლუგაევსკ-კავალეკის და ჰორტ-რიბლის პარტიები. ცეშკოვსკიმ დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში გადადო პარტია პახმანთან.

ამრიგად, ბრაზილიელმა ენრიკე მეკინგმა დააგროვა 13 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა, პოლუგაევსკისა და ჰორტს 12,5 ქულა აქვთ. ცეშკოვსკის გამარჯვების შემთხვევაში შეუძლია მათი დაწევა.

საზონთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ აქვე, მანილაში იწყება მეტად საინტერესო ასპარეზობა, რომლის მონაწილენი იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, დიდოსტატები ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), უ. ბრაუნი (აშშ) და ე. ტორე (ფილიპინები).

ე. მელიქსეთბეგი.

„სპორტლოტოს“ ტირაჟის შედეგები

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოსი“ და „სპორტლოტო-2“-ის 7 ივლისს მოსკოვში გამართული 27-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 4520 მანეთი (63 ბარათი); ოთხი ნომერი — 91 მანეთი (3.287 ბარათი); სამი ნომერი— 4 მანეთი (89.961 ბარათი).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აგრეთვე ვერავინ ვერ გამოიცნო, იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 2538 მანეთი (51 ბარათი); ოთხი ნომერი — 46 მანეთი (2855 ბარათი); სამი ნომერი — 3 მანეთი (55.888 ბარათი).

27-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 18 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით.

ფიქრები ბიჭი

მოთხრობა

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი ვარ. მანქანა სრულიად ჯაბეკს ჩამაბარეს და, მართალი გითხრათ, ძალიან შემეყვარდა. მალე ხუთი წელი შესრულდება, რაც ბორბლებზე გამიტარებია.

— ფიქრიანი ბიჭი ჩანს, ივარგებს! — უთხრა ამ ხუთი წლის წინათ ჩემით დაინვდებულმა უფროსმა ხელქვეითებს და განცხადებას მსხვილი წითელი ფანქრით თავისი თანხმობა წაუწერა.

ასე გავხდი შოფერი.

იმ დღიდან „ბოფრების დიდ ოჯახში „ფიქრიან ბიჭად“ მიცნობენ. არცერთმა მათგანმა არ უწყვის ჩემი ფიქრიანობის სათავე, მე კი რატომღაც მერიდება ჩემი ობლობის გამხელა, რომლის ნსაკალ-დასაკალიდან, დედაჩემის გაფმოცემით, მხოლოდ ეს ვიცი, რომ „ის, მამაშენი, ჩვენთვის აღარ არსებობს იმ დღიდან, რაც სამშობიარო სახლში მიგვატოვა მე და შენ და უგზოუკვლოდ დაიკარგა“.

დედამ ჩვენი ოჯახის საადუმლო უკვე კარგა მოზრდილ ყმაწვილს გამანდო. დინჯად, აუღელვებლად მიყვებოდა, მაგრამ ხმაზე მაინც ვატყობდი, როგორ უჭირდა თქმა. მისი ხმა თითქოს კიდევ რაღაცას ამბობდა, ჩემთვის ჯერ კიდევ შეუცნობელსა და მიუწვდომელს, ამიტომ დედის ხმა ტაეიოლივით ჩამრჩა ხსოვნაში.

ამ მანქანას სად არ წავუყვანივარ, რა არ გადამხდენია, — ყველაფერს რა ენა იტყვის, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ რაც შემემთხვა, ძირისძირობამდე გულში ჩამწვდა, და დღეს სწორედ ის ამბავი მინდა მოგიყვეთ.

...რუსეთიდან სამკურნალოდ ჩამოსული ერთი მოქალაქე ლიკანში ავიყვანე. უკან გამობრუნებისას ბორჯომში სახელდახელოდ წავისაუზმე და თბილისისკენ გამოვწიე. ბორჯომის ხეობაში ბეგრჯერ მივლია და, გამოგიტყდებით, მუდამ შიში მეუფლება ხოლმე — ამოვრეული მტკვარი, ადგილ-ადგილ ზედ მდინარეზე გადმოწოლილი მთები, მკვეთრი მოსახვევები, ელვასავით დახლართული ზიგზაგები თავბრუს ახვევს ადამიანს. რაგინდ გამოცდილი შოფერი იყო, თუ ათი თვალი და ყური არ გამოიბი, ანდა ორიოდე წამით ნებაზე მიუშვი საჭე, მანქანა ხელიდან გაგიხლტება და ხრამში გადაიჩეხება.

გვიანი შემოდგომის დღე იყო. ადგილ-ადგილ ნისლის ნაგლეჯებთ შებურული მთების კალთებიდან ოდნავ შებირხული ნაძვნარები ნაღვლიანად გადმოსცქეროდნენ ხეობას, მტკვარს კი მოშავო-მოლურჯო ფერი დაჰკრავდა და მისი ღერი შიშს აღვიძებდა. მე ყურადღება გამახვილებული გავცქეროდი დაკლაკნილ გზას და თან რადიოკონცერტს ვუსმენდი, თუმცა, ვიმეორებ, გულისგამხარებელი დღე არ იყო.

ერთი მოსახვევი რომ გავლეს და მეორე აღმართიან მოსახვევს შევუდექი, უკან, გზაზე ვეებერთელა ძაღლი დაეინახე. ჩვენში ეზოს დარაჯს რომ ეძახიან, ისეთი. ძაღლი ენაგადმოგდებული მრბოდა და თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა:

„საით მიეჩქარება ამ ქოფაკს?“ — გავიფიქრე და მანქანა გავაჩერე — გზა დაეთუმე. მაგრამ რას ვხედავ? ძაღლიც **გაჩერდა**, შორიახლო ჩაეფუცქდა უკანა ფეხებზე და თვალს არ მაშორებს.

„შეეშინდა, გასწრებას ვერ ბედავს-მეთქი“, — მანქანა დავძარი და გზა განვაგრძე. მაშინვე ძაღლიც მოსწყდა ადგილს და ჩემს მანქანას აედევნა. მოეუმატებ სიჩქარეს — ისიც მორბის, არ უნდა ჩამორჩეს, შევანელებ — ძაღლიც მოსდევს, გავაჩერებ — გაჩერდება, დავიძვრები — ამედევნება.

„რა უნდა ჩემგან ამ უპატრონოს?.. ვაი თუ ცოფიანია? თუ ცოფიანია, რაღა მე ამომიღო თვალი?“ — გავიფიქრე და უნებურად გამახსენდა: „ობოლს ძაღლიც არ შეჰყეფსო“.

ჩემს ობლობაზე გაელვებულმა ფიქრმა, სადაც, გულის სიღრმეში მიყუჩებულმა, დროებით დამავიწყა ჩემი მდევარი და იმ ადამიანზე ამიშალა ფიქრები, მამაც რომ ვერ მეწოდებინა: ვინ არის ნეტავი? როგორია? ერთხელ მაინც შემახედა სახეზე! ნუთუ თავის გაგრძელებას არ დაეძებს?!... როგორც სხვებისგან გამიგონია, ეს ძიება უსასრულობასავით უნაბარია, ამ დროს საბარგოდან ყრუ წკმუტუნი შემომესმა, თუმცა ვიღაც უგვანების საბარგოში ლეკვი ჩაესვათ, როცა მე ბორჯომის სასაღილოში ვსაუზმობდი.

დაობლებული ბავშვის ქვითინ�eiთ ჩამესმა ყურში ეს ხმა და ობლობაში გატარებული ბავშვობის წლები გამახსენა. მომაგონდა, რა შურით გავაყოლებდი ხოლმე თვალს მამების გეერდით მიმავალ თანატოლებს, მე კი მარტოდ ვიყავი; მომაგონდა, ეზოს ბიჭებთან თამაშის დროს, რაგინდ უდანაშაულო ვყოფილიყავი, მაინც მე წამოიეჭებდნენ ხოლმე თავში და მე ამასაც ვითმენდა, სხვები კი მამებით იმუქრებოდნენ. ეჰ, რომელი ერთი მოვთვალო!... ასეთ წუთებში მწვავე ტკივილით ვგრძნობდი განსხვავებას ჩემსა და თანატოლებს შორის, მათთან შედარებით მე რაღაც ძალიან საჭირო რამ მაკლდა და დედა რომ არა, არ ვიცი რას ჩავიდენდი... დედა იყო ჩემი ერთადერთი მანუგეშებელი, ის მიეკარებდა წუხილს — ჩემს თავს გულზე მიიხუტებდა, თავისი თბილი ხელით თმას მიჩეჩავდა და თან ტკბილად ჩამჩურჩულებდა: არაფერია, შვილო, პატიოსანი კაცი რომ გამოხვალ, ყველაფერი დაგავიწყდება“...

მაშინ, მართლაც, ყველა წყენა მავიწყდებოდა. მაგრამ რა იცოდა დედაჩემმა, რომ თურმე სწორედ პატიოსან კაცს აქ არ შესძლებია ყველაფრის დავიწყება...

ძაღლი ისევ შორიახლო იდგა, დაღლილობისაგან ქსანქსანდა, თავს ძლივს იმაგრებდა, მაგრამ ჩემი მანქანის საბარგო მაინც დაეინებით უყურებდა, მე კი ძაღლს ვერ ვაცილებდი თვალს. რადგან ჩემს წინ თითქოს მაღალი სულის ადამიანი იდგა და ვაი რომ მას ძაღლის ტყავი ემოსა.

მტკვრის გაღმა სტვენით ჩაიარა მატარებელმა და გაყურეა არე-მარე.

ლეკვი საბარგოდან ამოვიყვანე, ძაღლს დავებრუნე და მათი შეხვედრის წუთებსაც დავესწარი.

ხეობაში შემოდგომის მშვიდი და წყნარი საღამოს ბინდბუნდი წვიდოდა, მე კი გულდამძიმებული მივქროდი დედაქალაქისაკენ.

არ. დავითიანი.

ოლიმპიადა

ქართველი სპორტსმენები ოლიმპიადებზე

დაწყებული XV ოლიმპიური ახალრეზობიდან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში სულ 86 ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა:

ჰელსინკი, 1952 წელი — 13 სპორტსმენი (ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავე დავით ციმაკურიძემ, ძალოსანმა რაფიელ ჩიმიშკიანმა და ტანმოვარჯიშემ მზია ჯუღელმა; ვერცხლის მედლები — მძლეოსანმა ლევან საბანაძემ, კალათბურთელებმა ოთარ ჭორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ; ბრინჯაოს მედლები — მძლეოსნებმა ნინო დუმბაძემ და ნადეჟდა ხნიკინ-დვალიშვილმა).

მელბურნი, 1956 წელი — 10 (ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა გივი კარტოზიამ და მირიან ცალკალამანიძემ; ბრინჯაოს მედლები — მოჭიდავეებმა ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ და რომან ძნელაძემ, მძლეოსანმა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა, მოცურავემ ბორის ნიკიტინმა და წყალბურთელმა ნოდარ გვახარიამ).

რომი, 1960 წელი — 16 (ოქროს მედლები მოიპოვეს მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ და მოჭიდავემ ავთანდილ ქორიძემ; ვერცხლის მედლები — მოჭიდავემ გიორგი ხხირტლაძემ, კალათბურთელებმა გურამ მინაშვილმა და ვლადიმერ უგრეხელიძემ, წყალბურთელებმა გივი ჩიქვანაიამ და ლერი გოგოლაძემ; ბრინჯაოს მედლები — მოჭიდავეებმა გივი კარტოზიამ და ვლადიმერ რუბაშვილმა, მოფარიკავე გურამ კოსტავამ).

ტოკიო, 1964 წელი — 18 (ოქროს მედლები მოიპოვეს მოფარიკავემ ნუგზარ ასათიანმა და ფრენბურთელმა ვაჟა კაკურავამ; ვერცხლის მედლები — მოჭიდავეებმა გურამ საღარაძემ და რომან რურუამ, მბროლელმა შოთა ქველიაშვილმა, კალათბურთელმა ლევან მოხეშვილმა, ბრინჯაოს მედლები — მოჭიდავეებმა ნოდარ ხოხაშვილმა, დავით გვანცელაძემ, ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიქვილაძემ, მოფარიკავე გურამ კოსტავამ).

მეხიკო, 1968 წელი — 14 (ოქროს მედლები მოიპოვეს მძლეოსანმა ვიქტორ სანეევმა და მოჭიდავე რომან რურუამ; ვერცხლის მედლები — ძალოსანმა დიტო შანიძემ, მოჭიდავეებმა შოთა ლომაძემ; ბრინჯაოს მედლები — კალათბურთელებმა ზურაბ საკანდელიძემ და სერგეი კოვალენკომ).

მიუნხენი, 1972 წელი — 16 (ოქროს მედლები მოიპოვეს მძლეოსანმა ვიქტორ სანეევმა, მოჭიდავეებმა ლევან თედიაშვილმა და შოთა ჩიჩიშვილმა, ნიჩბოსანმა ვიქტორ კრატასიუკმა, კალათბურთელებმა ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ; ვერცხლის მედალი — ძალოსანმა დიტო შანიძემ; ბრინჯაოს მედლები — ველოსიპედისტმა ოთარ ფხაკაძემ, მოჭიდავემ გივი ონაშვილმა, ფეხბურთელებმა მურთაზ ხურცილავამ და რეზო ძოძუაშვილმა).

სულ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ექვს ოლიმპიადაზე მოიპოვეს 54 მედალი — 17 ოქროს, 15 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოსი.

მოკლედ

ტანგარარუში. კიევში დამთავრდა სტუდენტთა მეშვიდე საკავშირო საშაფხულო თამაშების პროგრამაში შემავალი ტენნისი ტანგარარუშში. ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლ. ბოგდანოვა — 75,35 ქულა, მეორე ადგილზეა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ნ. დრონოვა — 74,8 ქულა, მესამეზე — მ. სერკოვა (კემეროვოს პედინსტიტუტი). ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა რ. მიქაელიანმა (სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 109,15. გუდღურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა.

ჩოგბურთი. რიგასა და იურმალაში გრძელდება სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი. შეჯიბრების მესამე დღის სენსაციას წარმოადგენდა 17 წლის ლვოველის ა. ზალუჟნის (იგი სოციალისტური ქვეყნების იუნიორთა ტრადიციული ტურნირის მესამე პრიზიორია) გამარჯვება სპორტის დამსახურებულ ოსტატ ს. ლიხაჩოვთან (ბაქო). ძალიან საინტერესო იყო აგრეთვე გამოცდილი ესტონელის ი. ლამპის შეხვედრა 18 წლის თბილისელ გ. ელერდაშვილთან. გაიმარჯვა ი. ლამპმა.

ფეხბურთი

გოლოსიტყვაობა ტურის შემდეგ

ოქროვანი ბალღობა

ოლიმპიადა monteal76

ოქროვანი ბალღობა

ოლიმპიადა monteal76

ოქროვანი ბალღობა

ოლიმპიადა monteal76